გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2005 წელი.
№220 (5253)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ქლესობით ბუნების გაცანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## „პრასტიტუტკების“ მიწისქვეშეთი და შერბილებული საყვედური



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში ფინანსური პოლიციის უფროსს ელოდნენ...

იხ. მე-2 გვ.

## გაეროში დიდი იმედების დამყარება არ ღირს



ამბობს პოლიტოლოგი შალვა ფიჩხაძე

იხ. მე-2 გვ.

სხვათა შორის, ქართველების აფხაზეთიდან გამოყრა, რაზეც პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოხსენებაში, გაეროს არ მიუჩნევია ეთნიკურ წმენდად, ასე მხოლოდ ეუთომ მიიჩნია. გაერო ჯერჯერობით ამ შეფასებას არ უერთდება.

## ⊙ ინფორმაცია

### უკანონო, საბჭოური ზეიმი ცხინვალში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში გამართულ სამხედრო აღლუმს უკანონო ზეიმი, საერთაშორისო თანამეგობრობის შეურაცხყოფა და სამშვიდობო მანდატის იგნორირება უწოდა.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ცხინვალში ჩატარებული აღლუმი ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების და საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ დადებული შეთანხმებების დარღვევა იყო. მისივე განცხადებით, ქართულმა მხარემ 2003 წელს სოჭში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის შეხვედრის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულების ყველა ნორმა და პარამეტრი შეასრულა, თუმ-



ცა, როგორც ჩანს ოსური მხარე ხელშეკრულების პირობების იგნორირებას ახდენს.

პარლამენტის თავმჯდომარეს სურს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტებმა, ასევე რუსეთის ხელისუფლებამ გასცეს პასუხი შეკითხვას – საიდან და როგორ მოხვდა კონფლიქტის ზონაში მძიმე ტექნიკა.

პარლამენტის თავმჯდომარე კონფლიქტის ზონაში არსებული რუსი მშვიდობისმყოფელების პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც აპირებს. – გვჭირდება კი ისეთი სამშვიდობო ძალები, რომელთა ცხვირწინ სეპარატისტული ხელისუფლების ორი თვითმარქვია პრეზიდენტი სამხედრო აღლუმს ატარებს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ მე-15 წლისთავი გუშინ ცხინვალში საბჭოთა ტრადიციებით აღინიშნა.

### გაზმომარაგება შემცირდა?

საქართველოს გაზმომარაგებაში შეიძლება პრობლემები შეიქმნას. როგორც „ინტერპრესნიუსისათვის“ გახდა ცნობილი, „გაზექსპორტიდან“ საქართველოს ხელისუფლებაში შეტყობინება მოვიდა, რომლითაც „გაზპრომი“ საქართველოში გაზმომარაგების შემცირების თაობაზე იტყობინება.

სარწმუნო წყაროს ცნობით, საქართველოს გაზმომარაგება 1/3-ით შემცირდა, რაც ხელისუფლების მიერ „გაზპრომის“ წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება. საუბარია ზამთრის სეზონის განმავლობაში დაგეგმილი მოხმარების ბალანსზე, რომელიც საქართველოს მთავრობას „გაზპრომისათვის“ უნდა მიეწოდებინა.

რუსულ მხარეს 19 სექტემბრამდე უნდა მიეღო ზამთრის მოხმარების ბალანსი, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ბალანსის „გაზპრომისათვის“ დათქმულ ვადაში მიწოდება.

აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფენ ენერგეტიკის სამინისტროში და აცხადებენ, რომ საქართველოს გაზმომარაგებაში პრობლემები ამჟამად არ არსებობს და არც მომავალში შეექმნება.

რაც შეეხება ბალანსის საკითხს, ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ დათქმულ ვადად 19 სექტემბერი იურიდიულად არ ყოფილა გაფორმებული. ამიტომ მოდავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „გაზპრომის“ მხრიდან გაუმართლებელი იქნებოდა.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ საქართველო ზამთრის სეზონის განმავლობაში 2 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, ამის შესახებ ბალანსი უკვე შედგენილია და იგი „გაზპრომს“ მიეწოდება.

ინტერპრესნიუსი

## გვემუქრება თუ არა ახალი „ნეპი“?



ფასის ზრდა განსაკუთრებით საგრძნობია ქუთაისის ტრანსპორტზე, სადაც მგზავრობის ღირებულებამ შვიდიდან ერთბაშად ათ ლარს მიაღწია.

ამის პირველმიზეზად მძღოლები საწვავზე ფასების ზრდას ასახელებენ.

იხ. მე-3 გვ.

## უსამართლო მოსამართლეთა გასამართლიანების პროცესი პრაქტიკულად კი არა, თეორიულად მიმდინარეობს



იხ. მე-2 გვ.

## ⊙ პანორამა

მარსელის ცენტრში მდებარე ოროთახიან ბინაში პოლიციელებმა იპოვეს ხანდაზმული ქალის გვამი. საქმე ის არის, რომ ამ ქალბატონის ვაჟი მთელი 5 წლის განმავლობაში მალავდა დედის გარდაცვალების ამბავს, რათა მიეღო მისი კუთვნილი პენსია. ახლა მას მოუწევს სასამართლოს წინაშე გამოსვლა თაღლითობისა და გარდაცვალების ფაქტის დამალვის გამო.

* * *

ნასა განაახლებს მთვარის პროგრამას: 2018 წელს მთვარეზე დაეშვება ახალი თაობის ამერიკული ხომალდი. როგორც ვარაუდობენ, ასტრონავტები დედამიწის ბუნებრივ თანამგზავრზე ერთ კვირას დაჰყოფენ, ანუ ოთხჯერ მეტ ხანს, ვიდრე გრძელდებოდა „აპოლონის“ მისიები, რომელთაგან უკანასკნელი შედგა 1972 წელს.

* * *

შვეიცარიაში 10 წლის კამერუნელმა გოგონამ ბავშვი გააჩინა. სამართალდამცველებს თავდაპირველად ეჭვი ჰქონდათ, რომ ბავშვის მამა იყო 68 წლის კაცი – გოგონას დედის მეგობარი. მან აღიარა, რომ ჰქონდა სქესობრივი კავშირი დაწყებითი სკოლის მოსწავლესთან, თუმცა, დნმ-ს ანალიზმა დაადასტურა, რომ ახალშობილის მამა იგი არ იყო.

* * *

„გაეროში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დაინახა ახალი გეოპოლიტიკური სამყარო, რომელშიც ამა თუ იმ საკითხში მისი მოკავშირეები შეიძლება შევიდნენ მეზობელ ოთახში და გააბან შეთქმულების ძაფი ამერიკის წინააღმდეგ სულ სხვა საკითხში“, – წერდა ამერიკული „ნიუ-იორკ ტაიმსი“. გაზეთს მოჰყავს ბუშის წინააღმდეგ ახალი კავშირების შექმნის ყველაზე მოულოდნელი ვარიანტები: რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი; ჩინეთი და სამხრეთ კორეა – შეერთებული შტატების და იაპონიის წინააღმდეგ; რუსეთი და ევროპა.

## ქრთამი „რესბალნიცასაც“ ანათებს?..



იხ. მე-3 გვ.

პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელთა თავზე საავდრო ღრუბლები განსაკუთრებით ამ ბოლო კვირეების მანძილზე მოიქუფრა.

## „დგას მეციხოვნედ მარადისობა“



ქსანზე, ქარჩოხის ციხესთან

ქარჩოხის ციხესთან გამართულ ბრძოლაში სულ რამდენიმე ყიზილბაში თუ გადარჩენილა, ირანელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობით მათთვის სიცოცხლე გიორგი სააკაძეს უჩუქებია – სპარსეთში ყოფნის დროს მათთან ტაბლაზე მდგარა და პურ-მარილის მადლი შეინახაო.

იხ. მე-7 გვ.

## ერთი სიყვარულის ისტორია



21 სექტემბერს კიტა ბუაჩიძის დაბადების დღეა

იხ. მე-6 გვ.

## „მაიდანის“ კარვები სახელისუფლებო დერეფნებში იშლება



ჰორიზონტზე ახალი „მაიდანი“ გამოჩნდა – „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ადგილის დედა კიევში: „ნარინჯისფერმა დედოფალმა“ – უკრაინის უკვე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ ოპოზიციის ქანა დარკის როლი მოირგო.

იხ. მე-5 გვ.

პოზიცია



# გაეროზე დიდი იმედების დამყარება არ ღირს,

## ამბობს პოლიტოლოგი შალვა ფიჩხაძე

**– ბატონო შალვა, როგორ შეაფასებდით გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას?**

– პრეზიდენტის გამოსვლა პირობითად ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი იყო საქართველოს წარმატებები, მეორე – როგორი უნდა იყოს გაეროს როლი საქართველოს კონფლიქტების მოწესრიგებაში.

პირველ ნაწილზე არ ვილაპარაკებ. მოსახლეობამ თავად განსაჯოს, რა წარმატებები აქვს ქვეყანას.

რაც შეეხება გაეროს როლს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, ის უწინდელივით პასიურია. ძირითადად, აფხაზეთის კონფლიქტს ვგულისხმობ, რადგან გაერო უშუალოდ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილეობს და არა – ყოფილ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებში.

როგორი პასიურიც იყო გაერო 1993 წლიდან მოყოლებული, დღესაც ისეთივე პასიურია, მიუხედავად მის მიერ მიღებული რეზოლუციებისა.

სხვათა შორის, ქართველების აფხაზეთიდან გამოყრა, რაზეც პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოხსენებაში, გაეროს არ მიუჩნევია ეთნიკურ წმენდად, ასე ეუთომ მიიჩნია. გაერო ჯერჯერობით ამ შეფასებას არ უერთდება.

ვფიქრობ, გაეროს დღეს განსაკუთრებული როლი არ აკისრია, რადგან მას არ აქვს საამისო ბერკეტები. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტმაც მშვენივრად იცის, მაგრამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩასვლა და იქ გაეროსთვის აქტიურობისკენ მოწოდება, საჭირო იყო.

**– თავად თქვენ კონფლიქტების მოგვარების უფრო ქმედით გზად რა მიგაჩნიათ?**

– კონფლიქტების მოგვარების უფრო ქმედით გზად აფხაზებთან უშუალო დიალოგი მიმაჩნია. დროა ჩვენმა ახლანდელმა ხელისუფლებამ გააკეთოს ის, რასაც ძველი ხელისუფლება ვერ აკეთებდა: დაიწყოს უშუალო დიალოგი აფხაზებთან და შეეცადოს, რომ რაღაცნაირად მტრის ხატი მოსპოს აფხაზურ საზოგადოებაში, დიალოგი აწარმოოს სომხებთან არა გაეროს და ევროპის საბჭოს მეშვეობით, არამედ – უშუალოდ. იგივე ეხება, ალბათ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებსაც.

**– პრეზიდენტის გამოსვლაში ნათქვამია:**



**„ჩვენ სამშვიდობო წინადადებათა მეშვეობით ხელს ვუწყობთ მშვიდობიან პროცესებს სამხრეთ ოსეთში, სადაც ჩვენ ამ ინიციატივებს აქტიურად ვახორციელებთ და ასევე აფხაზეთში“...**

– ჩემი აზრით, – საზოგადოება მთლად გარკვეული როდია, თუ რა ინიციატივები ხორციელდება და რითი ვუწყობთ ხელს მშვიდობიან პროცესებს ყოფილ სამხრეთ ოსეთში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იქ ქართული მოსახლეობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, ხოლო ოსების სეპარატისტული რეჟიმი – ძლიერდება.

ჩვენ ამას საკმაოდ „მოხდენილად“ შევუწყეთ ხელი შარშანდელი ზაფხულის ავანტიურის შედეგად.

თავად პრეზიდენტის გამოსვლა ოპტიმისტურია, გაეროსა და იქ მყოფ საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოხდენაზეა გათვლილი.

**– ანუ, საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას შედეგი არ მოჰყვება?**

– ეჭვი მეპარება, რომ რაიმე შედეგი მოყვეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: გაეროზე დიდი იმედების დამყარება არ ღირს და დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტმა ეს ჩემზე უკეთ იცის. მაგრამ შემდეგ ნაბიჯებს გადადგამს თუ არა, ანუ წავა თუ არა ასე ნანატრ დიალოგზე, ეს მეორე საქმეა (მგონია, რომ ეს უფრო ქმედითი ნაბიჯი იქნებოდა). თუმცა, თავისთავად, საქართველო ბევრს არაფერს კარგავს, როცა გაეროს მოუწოდებს უფრო აქტიურად ჩაებას კონფლიქტების მოგვარებაში.

პირადად მე იმედი არ მაქვს, რომ გაერო ამას შეძლებს, შესაძლოა ამის მექანიზმი ქაღალდზე კი აქვს შემუშავებული, მაგრამ რეალურად არ გააჩნია.

**– თქვენეული შეფასებით, პრეზიდენტის გამოსვლა ასამბლეის სესიაზე მართლა ისეთი მკაცრია, როგორც ამაზე ჟურნალისტებმა გაამახვილეს ყურადღება?**

– ვერ გეტყვით, რომ ეს რაღაც მკაცრი გამოსვლაა. ჩვეულებრივი, ნორმალური მოხსენებაა, რითაც პრეზიდენტი გაეროს კიდევ ერთხელ მოუწოდებს ჩაერთოს კონფლიქტების მოგვარებაში. უფრო გაეროს მიმართ ვალის მოხდას ჰგავს, რასაც ყველა ხელისუფალი აკეთებს.

გაეროს დახმარება, ჩვენთვის, ალბათ, სხვა სფეროებში – განვითარებისა თუ რეფორმების საკითხებში უფრო ქმედითია. რაც შეეხება კონფლიქტებს, გაერო სადღეისოდ ამ თვალსაზრისით, უუნარო ორგანიზაციაა და რაგინდ მკაცრიც უნდა იყო მის მიმართ, ვერ აიძულებ, უფრო ქმედითი გახდეს. სიმკაცრესაც კი აზრი არა აქვს.

**– საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში რუსეთის ფაქტორზეც არის ყურადღება გამახვილებული...**

– გეთანხმებით, გამოსვლაში ნათქვამია, ჩვენი თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან კონსტრუქციული და პოზიტიური იქნება, რათა ის კონფლიქტები, რომლებიც იმპერიული წარსულისგან მემკვიდრეობით გვერგო, საბოლოოდ მოვაგვაროთო.

ესეც, ვფიქრობ, ვალის მოხდაა არსებული ტენდენციების მიმართ, რადგან ჩვენი მეგობარი სახელმწიფოები და, უპირველესად, ამერიკის შეერთებული შტატები პირდაპირ გვეუბნებიან, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობა არის ერთ-ერთი საკვანძო ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად. ამერიკელებმა რომც არ გვითხრან, ეს ისედაც მშვენივრად ვიცით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: რამდენად შეგვიძლია შორს წავიდეთ რუსეთთან კარგ ურთიერთობებში. თუკი რუსეთი ამ ურთიერთობების სანაცვლოდ ისეთ დათმობებს მოითხოვს, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ურთიერთობებს დააზიანებს, მაშინ უნდა გავჩერდეთ და დავფიქრდეთ: ღირს კი ასეთი ურთიერთობები?

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

---

კანონმდებლები

# „პრასტიტუტკების“ მიწისქვეშეთი და შერბილებული საყვედური

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში ფინანსური პოლიციის უფროსს ელოდნენ. ჟურნალისტების წინასწარი ვარაუდით, კეზერაშვილი არა, მაგრამ მისი მოადგილე მაინც გამოცხადდებოდა. თუმცა, სტუმრობა ფინანსური პოლიციის არც ერთმა წარმომადგენელმა არ ისურვა. სამაგიეროდ, კომიტეტის წევრებს შეატყობინეს, თქვენ რომ გაინტერესებთ, ის ინფორმაცია (საქმე კაფე „ნიკალაში“ ფინანსური პოლიციის შეჭრასთან დაკავშირებული დარღვევების შედეგებს ეხება) უკვე გადავეცით იურიდიულ კომიტეტსო. სანამ ამაზე ყურადღებას შეაჩერებდნენ, კომიტეტი სხდომაზე ფეხით მოსიარულეთა მიერ საგზაო წესების დარღვევასა და მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს.**

როგორც აღმოჩნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვერ გაერკვნენ, ვინ უნდა გაეგზავნათ კომიტეტში, ვის ეხებოდა საგზაო წესების დამრღვევთა დასჯის საკითხი. ამიტომაც საპატრულო პოლიციის ნაცვლად სისხლის სამართლის სამმებროს წარმომადგენელი ჯემალ გაბელია მოვიდა. მართალია, მას არ ეხებოდა ის საკითხი, რომელსაც განიხილავდნენ კომიტეტში, მაგრამ მაინც დარჩა – თქვენს შენიშვნებს მივიტანთ დანიშნულების ადგილზეო.

ამის შემდეგ კომიტეტის წევრები ისევ მიუბრუნდნენ იმ საკითხს, რომელიც რამდენიმე თვის წინათ დააყენეს. მაშინ მათ თბილისის მერიას მოსთხოვეს, მოეწესრიგებინა მიწისქვეშა გადასასვლელები. ელენე თევდორაძის თქმით, გადასასვლელებში არსებული აუტანელი მდგომარეობა, ძირითადად, არ შეცვლილა. საშინელი სუნისა და გაქურდვის საკითხის გამო მოქალაქეები გზის გადაკვეთას ამჯობინებენ, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვს ზრდის. ადაბენ მიწისქვეშა გადასასვლელების გახსნას. როცა ვურეკავთ, გვეუბნებიან, ჩვენ ინტრიგა გვაინტერესებსო, – ამბობს ბატონი კობა.

მალე შეიძლება, მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებულ სავაჭრო ობიექტებს გადასახადები გაუზარდონ, ხოლო საცხობები საერთოდ გააუქმონ. ყოველ შემთხვევაში, კეთილმოწყობის სამსახური აპირებს, მერიის საქალაქო სამსახურს დაუკავშირდეს და ასეთ სავაჭრო ობიექტთა ხელშეკრულებებს გადახედონ. რაც შეეხება ჭის სახურავების მოპარვის თავიდან აცილებას, კობა სუბელიანის აზრით, საჭირო იქნება ჯართის მიმღები პუნქტების მკაცრად გაკონტროლება. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ხათუნა გოგორიშვილს უფრო ეფექტიანი იდეა დაებადა – ჭის სახურავებში დენი უნდა გაატაროთ, სხვა არაფერი უშველის ამ საქმესო.

კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კომიტეტის წევრებს კარგი გეგმები გააცნო და მათს განხორციელებას უახლოეს მომავალში შეჰპირდა. მისი თქმით, მთავარია საზოგადოების, მედიისა და საპატრულო პოლიციის მხარდაჭერა. მიწისქვეშა გადასასვლელები საზოგადოებას ელის, – აღნიშნა სუბელიანმა, რასაც გოგორიშვილმა ღიმილით და ლოზუნგით უპასუხა:

– ყველანი ჩადით მიწის ქვეშ.

სხვები არ ვიცი, დავით კეზერაშვილი კი, ეტყობა, მართლაც, მიწის ქვეშ იყო ჩასული. როგორც უკვე გითხარით, საფინანსო პოლიციის უფროსი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე არ გამოცხადდა. „ამომწურავი“ ანგარიში, რომელიც მან იურიდიულ საკითხთა კომიტეტს წარუდგინა, სინამდვილეში საკმაოდ მწირი იყო. ერთგვერდიანი ინფორმაციის თანახმად, თავის დროზე დავით კეზერაშვილს მკაცრი



მიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გამოჰყო რამდენიმე მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელმაც განსაკუთრებულად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მათ შორის არის გმირთა მოედანზე არსებული გადასასვლელი.

– ეს ადგილი „ბომჟების“, „ცისფერებისა“ და, უკაცრავად ამ სიტყვაზე, „პრასტიტუტკების“ ბუდეა, ანტისანიტარიისა და სიბნელის გამო მიწისქვეშა გადასასვლელით სხვა ვერავინ სარგებლობს, – აღნიშნა ელენე თევდორაძემ. მისმა მოადგილემ ლალი ფაფიაშვილმა დასძინა, არც მიწისზედა გადასასვლელები არის დახაზული და მოწესრიგებულიო.

კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის კობა სუბელიანის თქმით, აღდგენილია 11 მიწისქვეშა გადასასვლელი, დანარჩენებიც, გეგმის მიხედვით, უახლოეს ორ-სამ თვეში განახლდება. კეთილმოწყობის სამსახური თურმე საქმეს ვერ აუდის, რადგან საზოგადოება ხელის შეწყობის ნაცვლად ხელს უშლის.

– ჩვენი სამსახურის მობილური ჯგუფი დღეში ორჯერ, დილასა და ნაშუადღევს ასუფთავებს მიწისქვეშა გადასასვლელებს, მაგრამ ორ-სამ საათში ხალხი ისევ ანაგვიანებს. ამასთან, იპარავენ ჭის სარქველებს და ჯართთან აბარებენ, – საზოგადოებით უკმაყოფილებას არ მალავდა კობა სუბელიანი.

სხდომაზე მედიის მხარდაჭერაც მოითხოვეს. მათ, ვინც ოჯახში ვერ ისწავლა გზაზე გადასვლის წესები, ჟურნალისტებმა უნდა ასწავლონ. კეთილმოწყობის სამსახურის ახლადდანიშნული უფროსი უკმაყოფილოა იმით, რომ მედიასაშუალებები არ აშუქერეაგირება მოუხდენია „ნიკალაში“ ჩატარებულ სპეცოპერაციაზე. ეს მკაცრი რეაგირება კი გამოიხატა სათანადო პირებისადმი საყვედურის გამოცხადებაში და გაფრთხილებაში – მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში თანამდებობიდან გათავისუფლდებითო. უფრო მკაცრი ზომები კი იმის გამო არ მიუღიათ, რომ იმ სპეცოპერაციამ მნიშვნელოვანი კანონდარღვევა გამოავლინა. ასე რომ, გარკვეულწილად, გამართლებული იყო საფინანსო პოლიციის ქმედება. მემარჯვენე კოკა გუნცაძემ ეს თავხედურ განცხადებად მიიჩნია, მაგრამ კომიტეტმა კეზერაშვილის ანგარიშის განხილვა საჭიროდ არ ცნო. მთავარი სხვა იყო:

– ჩვენი მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, დავით კეზერაშვილი კომიტეტის სხდომაზე არ გამოცხადდა. ეს პარლამენტის უპატივცემულობაა. ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმეს მივცეთ დეპუტატების შეურაცხყოფის უფლება, – აღშფოთება ვერ დამალა ელენე თევდორაძემ.

ლალი ფაფიაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კეზერაშვილის უწყება საზოგადოებისთვის ჩაიკეტა. – რიგითი მოქალაქე როგორ შეძლებს, ინფორმაცია მიიღოს ამ სტრუქტურისგან, როცა ამას პარლამენტის კომიტეტი ვერ ახერხებსო, – აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

კეზერაშვილის საკითხი ჯერ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დადგება, შემდეგ კი – პლენარულზე. ელენე თევდორაძის თქმით, ხელქვეითის ქმედებებზე პარლამენტარებთან პასუხის გაცემა ფინანსთა მინისტრს მოუწევს.

**რუსუდან გახარია**

---

ინფორმაცია

## იმპორტირებული ავტომანქანების განბაჟების პროცედურები მარტივდება

**საქართველოში** იმპორტირებული ავტომანქანების განბაჟების პროცედურები გამარტივდება.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, გუშინ იმპორტირებული ავტომანქანების განბაჟება-გაფორმების მომსახურების ახალი ცენტრი გაიხსნა. პრეზენტაციას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი დაესწრნენ. ახლადგახსნილ ცენტრში გაერთიანებულია ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები, რაც მოქალაქეებს განბაჟების გაფორმების გამარტივების საშუალებას აძლევს.



როგორც ვანო მერაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ერთობლივი ოფისი საერთო ინიციატივით გაიხსნა და ის ერთი ფანჯრის პრინციპით იმოქმედებს.

მინისტრის თქმით, თუ ადრე ავტომანქანების მფლობელებს ოთხ სხვადასხვა ადგილზე სჭირდებოდათ მისვლა, ახლა ავტომანქანის გაფორმება, განბაჟება და ყველა სხვა პროცედურა ერთ ადგილზე განხორციელდება.

ალექსი ალექსიშვილის განცხადებით კი, ეს ოფისი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სტრუქტურებმა ერთობლივად ითანამშრომლონ. ახალ ოფისში ერთდროულად 10 კონსულტანტი მუშაობს, რომლებიც მოქალაქეებს განბაჟებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში დაეხმარებიან. ოფისში არის ასევე საბანკო განყოფილებაც. მინისტრის განცხადებით, აღნიშნულ ოფისში განბაჟება იმაზე უფრო იაფი იქნება, ვიდრე ეს პროცედურა ავტომანქანის მფლობელს ადრე უჯდებოდა.

## ამერიკის ახალი ელჩი ჩვენს მხარეს არის

**კონფლიქტების** მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ საქართველოში აშშ-ის ელჩ ჯორჯ ტეფტთან გუშინ გამართულ გაცნობით შეხვედრაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების გეგმები გააცნო.

– აშშ მზად არის, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში. გუშინდელ შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ბევრი საინტერესო დეტალი გამაცნო, – განაცხადა აშშ-ს ელჩმა ჯორჯ ტეფტმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ტეფტის განცხადებით, აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. მისივე თქმით, სახელმწიფო მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა დეტალურად განიხილეს როგორც კონფლიქტის ზონებში არსებული ვითარება, ასევე კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში აშშ-ის მონაწილეობის პერსპექტივები.

## შესაძლოა, ხაინდრავა გადადგეს

**კონფლიქტების** მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა რუსეთის მხარდაჭერით ცხინვალის რეგიონის გამალებულ მილიტარიზაციას აპროტესტებს და კონფლიქტის ზონაში ამ მიმართულებით პროცესების განვითარების შემთხვევაში თანამდებობიდან შესაძლო გადადგომის შესახებ განცხადებას აკეთებს.

ამის შესახებ გიორგი ხაინდრავამ გუშინ საღამოს ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, იგი 22-24 სექტემბრისათვის ვლადიკავკაზში დაგეგმილ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე რუსეთისთვის, როგორც შუამავალი ქვეყნის წინაშე ქართული მხარის პრეტენზიების კატეგორიულად დაყენებას აპირებს და იმის გარკვევას შეეცდება, თუ როგორ აღმოჩნდა ცხინვალის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ტექნიკა.

– ქართული მხარე არ დაუშვებს და არ შეურიგდება რუსული მხარის მიერ საქართველოს აღვირახსნილ შეურაცყოფასა და დაუფარავ ანექსიას, – აღნიშნავს ხაინდრავა, რომლის თქმით, იმ პირობებში, როცა რუსული მხარის წაყრუებით ოსური მხარე არღვევს როგორც 1992 წლის სოჭისა და ქვანია-კოკოითის მიერ 2003 წლის 4 ნოემბრის შეთანხმებებს, ცხინვალის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესის გაგრძელება პრობლემატური ხდება, რომლის მიზეზი არა ქართული მხარე, არამედ რუსული და ოსური მხარეები არიან.

## „მემარჯვენეებს“ ანგარიშსწორების არ ეშინიათ?!

„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერ დავით გამყრელიძესა და პარტიის სხვა გამოკვეთილ ფიგურებზე კრიმინალურ-ყაჩაღური მოტივით შენიღბული ანგარიშსწორება იგეგმება.

ამასთან დაკავშირებით განცხადებას დღეს „მემარჯვენე ოპოზიციის“ პრეს-სამსახური ავრცელებს. „მემარჯვენების“ მონაცემებით, პოლიტიკურ თავდასხმებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები გეგმავენ და ე.წ. არარეგისტრირებული შეიარაღებილი ჯგუფების მეშვეობით ახორციელებენ. ეს დაჯგუფებები ოფიციალურად არც ერთ ძალოვან უწყებაში არ ირიცხებიან, თუმცა ხელშეუხებლობის მყარი გარანტიებით სარგებლობენ.

როგორც „მემარჯვენე ოპოზიციის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დეპუტატ გელაშვილზე ანგარიშსწორების ფაქტის მიჩუმათებამ, ამ ადამიანებს პოლიტიკური ტერორის გაგრძელებისთვის ხელ-ფეხი გაუხსნა.

– ამის პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის შეთხზვა-გავრცელებაზე პოლიტიკური რეპუტაციის შელახვის მიზნით. ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფებს უშუალო მითითებებს აძლევს და ხელმძღვანელობს საბჭოთა სუკ-ის ცნობილი მუშაკი, პრეზიდენტ სააკაშვილის ბიძა და გავლენიანი მრჩეველი თემურ ალასანია, – აღნიშნულია განცხადებაში.

„მემარჯვენე ოპოზიცია“ აფრთხილებს საქართველოს პრეზიდენტს და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, ხელი აიღონ ამგვარ განზრახვაზე. – პოლიტიკურ ტერორს არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებისთვის სიკეთე არ მოუტანია. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვისაც ანგარიშსწორებით დააშინებენ და გააჩუმებენ, – აცხადებენ „მემარჯვენეები“.

**ინტერპრესნიუსი**

---

პრესკონფერენცია უკითხავოდ?

# უსამართლო მოსამართლეთა გასამართლიანების პროცესი პრაქტიკულად კი არა, თეორიულად მიმდინარეობს

**გუშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის პრესკონფერენცია გაიმართა. მისი პირველივე სიტყვები ქართული სასამართლო სისტემის დუხჭირ მდგომარეობას შეეხო. ძალზედ გულღიად ისაუბრა ქართველი მოსამართლეების დაბალ რეიტინგზე და მოსამართლეთა დანიშვნის ორი პრინციპი დაასახელა: პროფესიონალიზმი და კარგი რეპუტაცია. მისი თქმით, მოსამართლის ანაზღაურება დაბალი არ უნდა იყოს, თორემ ამ შემთხვევაში დიდია ალბათობა ქრთამის შეთავაზებისაც და აღებისაც. ჰოდა, მალე მათ ხელფასი გაეზრდებათ: ქვედა ინსტანციებიდან – მაღალ ინსტანციებამდე 1450 ლარიდან – 4000 ლარამდე.**

პრესკონფერენციაზე შემდეგ მომხსენებლად „ენ-სი-თი ინტერნეიშენალი“ წარსდგა. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და ჩვენს მიერ დასახელებულმა მომხსენებელმა ორგანიზაციამ ჩაატარეს სასამართლო სისტემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის საბაზისო კვლევა და გამართეს პრეზენტაცია. კვლევა მიმდინარეობდა საქართველოს მასშტაბით 1200 რესპონდენტზე, 2004 წლის 5 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე. როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევამ ქართული სასამართლო სისტემის ძალიან ცუდი მდგომარეობა კიდევ ერთხელ ასახა.



მაინც, რა „ეცათ“ ჩვენს მოსამართლეებს?

პრესკონფერენციის და პრეზენტაციის დამთავრებისთანავე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ესტაფეტა ჟურნალისტებს გადასცა, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ!.. პრესკონფერენცია ისეთი საინტერესო გამოდგა, რომ ერთი კითხვაც კი არ დასმულა.

ობიექტურად რომ განვსაჯოთ, დღეს ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი კომუნიკაციები და მეთოდები არ გაგვაჩნია. მასმედია ზოგჯერ ნოსტრადამუსობს, ხანაც კი რაჭველობს (უკაცრავად, რაჭველო მეგობრებო)! უმნიშვნელო რამეზე – მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვანზე – უმნიშვნელო ან მიქჩმალვითი ღონისძიებები იგეგმება. სხვათა შორის, ამ პრობლემის წინაშე დგას თითქმის ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რაზეც მეტყველებს უზენაეს სასამართლოში გამართული პრესკონფერენციაც. კარგი იქნება, თუ მავანი და მავანი ისეთ საინტერესო რამეზე დახარჯავს დროს, ენერგიას და საკმაოდ დიდ თანხებს, რომლის ირგვლივ ათ ჟურნალისტს მინიმუმ ერთი კითხვა მაინც გაუჩნდება!

**ზურაბ მოდებაძე**

---

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ფიქრები საქართველოზე

**„ნარინჯისფერი რევოლუცია“, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მიიყვანა ვიქტორ იუშჩენკო, მოხდა მეორე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში საქართველოში „ვარდების რევოლუციად“ წოდებული გადატრიალებიდან სულ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ამერიკაში ნასწავლმა იურისტმა მიხეილ სააკაშვილმა მაშინ დაამხო ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი. მე იმ დღეებში თბილისში გახლდით, როცა შევარდნაძემ პარლამენტის შენობა უკანა გასასვლელიდან დატოვა.**

ორივე შემთხვევაში, ხალხი აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა ხელმძღვანელებისა და მთავრობათა მიერ გამოთქმული დაპირებებით. მაგრამ დღეს, ჩემი აზრით, ორივე რევოლუციამ იმ ადამიანების იმედის გაცრუება და ილუზიების მსხვრევა გამოიწვია, რომლებსაც ეცვათ ნარინჯისფერი მაისურები კიევში და იქნევდნენ ვარდებს თბილისში.

მიმდინარე თვის დამდეგს იუშჩენკომ გადააყენა თავისი კაბინეტი და დაითხოვა ის კოლეგები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის პრეზიდენტად არჩევას.

თბილისში, სააკაშვილი ცდილობს ებრძოლოს არაკომპეტენტურობისა და კორუფციის თაობაზე გამოთქმულ ბრალდებებს. და ეს ხდება მაშინ, როცა იგი მოგზაურობს მთელს მსოფლიოში, ცდილობს ხაზი გაუსვას თავის ლიდერობას, მუშები კი თბილისის ერთ-ერთ უბანში აგებენ McMansion სტილის მდიდრულ პრეზიდენტის სასახლეს, რომელიც სახელმწიფოს 27 მილიონი დოლარი უჯდება. იგი აღმართულია მთაზე და შემწყნარებლურად დასცქერის ზემოდან პატარა ადამიანებს.

ამავე დროს, ქვეყანაში პენსიების საერთო თანხა 17 მილიონ დოლარს შეადგენს და ყოველთვიურად თითო პენსიონერზე საშუალოდ 7 დოლარი მოდის.

ელექტროენერგიის მიწოდება არარეგულარულია. ქვეყანაში არ არის სამედიცინო დაზღვევა, თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტი მოსახლეობას ჰპირდებოდა მის შემოღებას. რაც შეეხება გადასახადებს, ისინი კი არ შეამცირეს, არამედ გაზარდეს.

საქართველოს მცხოვრებთა 65 პროცენტი უმუშევარია, რის გამოც, ქვეყანას მასობრივად ტოვებენ ჭკვიანი და ნიჭიერი პროფესიონალები, რომლებსაც საქართველოში თავის გატანაც კი არ შეუძლიათ. მილიონზე მეტმა ქართველმა დატოვა სამშობლო. ახლა საქართველოში მხოლოდ 4 მილიონზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს, თანაც, მათი უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება.

საქართველოსადმი ამერიკელთა დახმარება, ქვეყნის ამჟამინდელი ადმინისტრაციის უმიშვნელოვანესი პრიორიტეტია. იგი წელიწადში 300 მილიონ დოლარს შეადგენს. ამასთან დაკავშირებით, იბადება ასეთი კითხვა: სად მიდის მთელი ეს სახსრები? რა თქმა უნდა, აქ ამერიკელებს ბრალი არ მიუძღვით. დამნაშავეა მხოლოდ საქართველოს გამოუცდელი მთავრობა, რომელსაც უწევს ებრძოლოს ურთულეს პრობლემებს. ვერანაირი ფული ვერ მოახდენს კორუფციებისა და სკანდალების კომპენსირებას, ვერანაირი ნარინჯისფერი მაისურები და ვარდები ვერ აგვაცილებს თავიდან სამთავრობო კრიზისს.

ორივე რევოლუციას ჰქონდა თავისი „თაფლობის თვე“. ახლა ეს ორივე „ქორწინება“ შტორმის ზონაში შევიდა. www.geoforum.ge საიტზე, ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, სააკაშვილის პოპულარობა მკვეთრად დაეცა. 2004 წლის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, სააკაშვილს მხარს უჭერდა ამომრჩეველთა უდიდესი რაოდენობა – 88 პროცენტი. ასეთ ციფრებზე მხოლოდ თუ იოცნებებს ნებისმიერი პოლიტიკოსი – ლორა ბუშის გარდა. მიმდინარე კვირას კი მისი პოპულარობა ძლივს აღწევდა 43 პროცენტს.

ქართველების 90 პროცენტი წინათ აცხადებდა, რომ დიდ იმედებს ამყარებდნენ „ვარდების რევოლუციაზე“. ახლა ასეთი მხოლოდ 28 პროცენტია, რაც აშკარად მიანიშნებს, რომ ახალი ხელისუფლება დიდი ხარვეზებით მოქმედებს. საქართველოს ეკონომიკის წარმოების მოცულობა ასევე შემცირდა. 2001 წელს მთლიან ეროვნულ პროდუქტში წარმოების წილი 48 პროცენტს შეადგენდა, სადღეისოდ კი ეს ციფრი 12 პროცენტს უტოლდება.

უაღრესად რთული ამოცანა დგას USAID ორგანიზაციის ხელმძღვანელების და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წინაშე. უბრალო ფინანსური დახმარება საკმარისი არ არის. უკრაინის და საქართველოს მთავრობებს სჭირდებათ არსებითი მომზადება დემოკრატიათა მართვის საკითხებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა დოლარები უაზროდ გაიფლანგება.

სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა იმოქმედოს. უკრაინის და საქართველოს ხალხები ამერიკისგან პასუხს ელიან. სხვაგვარად ხომ ორივე ქვეყანას მოიცავს ბელორუსიის მსგავსი ქაოსი, სადაც კომუნისტი დიქტატორის ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმი რაღაც შუასაუკუნეობრივს მოგვაგონებს. ოპოზიციის ლიდერები ან გაიქცნენ ბელორუსიიდან, ან საპყრობილეებში სხედან, როგორც პოლიტიკური პატიმრები. ბელორუსიის თავზე კვლავ ფრიალებს ძველი საბჭოთა დროშები, იქ არ არსებობს მასობრივი ინფორმაციის არანაირი საშუალებები ლუკაშენკოს კუთვნილი კერძო სატელევიზიო სადგურის გარდა.

უკრაინასა და საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ იქ ადამიანები პატივისცემით ეკიდებიან ამერიკას და სწამთ იმ ღირებულებებისა და თავისუფლების, რომლებსაც ამერიკა წარმოადგენს. ისინი ოცნებობენ თავისუფალ არჩევანზე, სიტყვის თავისუფლებაზე, დამოუკიდებელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და პატიოსან ხელმძღვანელებზე.

ადამიანები კიევსა და თბილისში პასუხებს ელიან. ისინი მიმართავენ ამერიკას მხარდაჭერისა და რჩევისთვის. ეს ხალხი ზიზღით ეკიდება საბჭოური კონტროლის ეპოქაში დაბრუნების პერსპექტივას.

ორივე ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტებმა უნდა აღიარონ, რომ შეერთებულ შტატებთან პატიოსანი პარტნიორობის ჩამოყალიბებისთვის ასეთი ძალისხმევის გაღების გარეშე, დემოკრატია მხოლოდ ოცნებად დარჩება.

**ცოტნე ბაკურია,**
**„ვაშინგტონ ტაიმსი“ (აშშ),**
**20 სექტემბერი.**

**რედაქციისგან: ცოტნე ბაკურია – საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი. იგი პერიოდულად უძღვება ლექცია-მეცადინეობებს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარული განვითარების უმაღლეს სკოლაში.**

№ 220, ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2005 წელი.

**ჩვენ აღარაფერს გვეკითხებიან?**

# ვლადიკავკაზი და ცხინვალი ბარიერების და დაბრკოლებების აღმოფხვრას ცდილობენ

**18 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელებმა ედუარდ კოკოითიმ და თეიმურაზ მამსუროვმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ოსეთის ერთობის შენარჩუნების, ოსი ხალხის განვითარებისა და შემდგომი კეთილდღეობის, კავკასიის ქედის ორივე მხარეს მცხოვრები ოსების ინტერესების დაცვის, კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების საქმისთვის ხელის შეწყობის და ტრანსეროვნული თანამშრომლობისთვის პირობების შექმნის მიზნით, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაურები იღებენ დოკუმენტს. ისინი აცხადებენ, რომ საჭიროა შეიქმნას ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით, განხორციელდეს ამ მიზნით წინათ მიღწეული რესპუბლიკათშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ინვენტარიზაცია და, აუცილებლობის შემთხვევაში, მუშაობა მათი განვითარებისთვის;**

მნიშვნელოვნად ამაღლდეს ორი რესპუბლიკის ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებს შორის კოორდინაციის დონე, ამ მიზნით გადაწყდეს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიის წარმომადგენლობის გახსნის საკითხი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობასთან;

მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საპარლამენტო კავშირურთიერთობის გააქტიურებას, აგრეთვე, ორივე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ფორმების გაფართოებას;



საჭიროა შეიქმნას ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის განსაკუთრებული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების პროექტის ორი თვის ვადაში მოსამზადებელი ერთობლივი კომისია, დოკუმენტში შეიტანონ დებულება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის შექმნის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ენერგეტიკისა და სატრანსპორტო კომუნიკაციათა გამოყენების სფეროში თანამშრომლობას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განმტკიცებას, გააერთიანონ ძალისხმევა ოსეთის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარების საქმეში ერთობლივი კულტურული და შემოქმედებითი პროგრამების განხორციელების გზით;

ამასთან დაკავშირებით, დაავალონ თავ-თავიანთ მთავრობებს სამი თვის ვადაში მოამზადონ და ხელი მოაწერონ შეთანხმებას კულტურისა და ენის სფეროში ურთიერთმოქმედების შესახებ, კერძოდ, გაითვალისწინონ ოსური ენის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნა-რეალიზაციისთვის განკუთვნილი ღონისძიებები, მათ შორის – ოსურ ენაზე წიგნის ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განვითარების სფეროში.

**რეგნუმ საინფორმაციო სააგენტო, 19 სექტემბერი.**

**გამოფენა**

# ქართველმა ისტორიკოსებმა ანგარიში ჩააბარეს

**ამ დღეებში საქართველოს პარლამენტთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ბოლო ათი წლის სამეცნიერო პროდუქციის გამოფენა.**

სტელაჟებზე წარმოდგენილი იყო სამასზე მეტი მონოგრაფია, წიგნი, კრებული, ჟურნალი და სხვა სამეცნიერო გამოცემები, ეთნოგრაფიულ ექსპედიციათა შედეგების გრაფიკული ნახაზები, აგრეთვე ამ წლების განმავლობაში ინსტიტუტში ჩატარებული ცნობილი ქართველი ისტორიკოსებისადმი (მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, გ. მელიქიშვილი) მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციების, საერთაშორისო სიმპოზიუმის („ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“) ამსახველი სტენდები, საქართველოს ისტორიის ატლასი და სხვა სამეცნიერო მასალა, რომელიც თვალნათლივ ასახავს ინსტიტუტის მრავალფეროვან პრობლემატიკას და მოიცავს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, უძველესი სოციალური კულტურის, ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეების, XIX და XX საუკუნეების ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის კარდინალურ საკითხებს.

ეს იყო ერთგვარი ანგარიშგება ჩვენი ისტორიკოსებისა ქართველი საზოგადოების წინაშე.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მთელი ეს სამეცნიერო პროდუქცია შექმნილია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩვენი სინამდვილის უმძიმეს პერიოდში, უსახსრობის, უშუქობის და საერთოდ ყველასთვის ცნობილი ენერგეტიკული კრიზისის პირობებში, ფაქტობრივად, უანგაროდ, მაღალი პროფესიული მოვალეობისა და ენთუზიაზმის ხარჯზე, რაც ჩვენი განათლებული და შეგნებული საზოგადოებისგან მხოლოდ მადლიერებას უნდა იმსახურებდეს.

ისტორიკოსთა გარდა გამოფენას ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელნიც ესწრებოდნენ. ისტორიკოსებმა (აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. დ. მუსხელიშვილი, პროფ. ნ. ხაზარაძე, პროფ. ა. დაუშვილი) დამსწრე საზოგადოებას გააცნეს გამოფენის შინაარსი და მისი მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისა და კულტურისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. თამაზ გამყრელიძემ თავის გამოსვლაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ამ მაგალითს აკადემიის სხვა ინსტიტუტებიც მიბაძავენ, რათა საზოგადოებამ დაინახოს და გაიცნოს ქართველ მეცნიერთა შრომის შედეგები.

უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო ფაქტიც: გასაოცარია, მაგრამ მიუხედავად საგანგებო მოწვევისა, ქართველ ისტორიკოსთა მიერ ბოლო ათწლეულში განხორციელებული მეცნიერული კვლევა-ძიების ამ თვალსაჩინო გამოფენას არ დასწრებია არც ტელეარხების და არც მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს არც ერთი წარმომადგენელი! არ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს ქართული მეცნიერებისა და განათლებისადმი მათ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

**აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.**

**ინფორმაცია**

## როგორი იქნება 200-ლარიანი?

**200 ლარის ნომინალის დიზაინზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის სურვილი ხუთმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა.**

**საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის საუკეთესო ესკიზის გამოსავლენად გამოცხადებული კონკურსის ვადა გუშინ ამოიწურა. საქართველოს ისტორიაში პირველად ქართველ მხატვარ-დიზაინერებთან ერთად, კონკურსში მონაწილეობა უცხოელებმაც მიიღეს.**

**ეროვნულ ბანკში უკვე წარმოდგენილია ბელგიის, შვედეთის, შვეიცარიის, ავსტრიისა და გერმანიის წამყვანი კომპანიების და ასევე ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ესკიზები. კონკურსში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით დაინტერესება ასევე გამოთქვეს გერმანიისა და ავსტრიის ზარაფხანებმაც. მათგან ესკიზებს ეროვნულ ბანკში უახლოეს დროში ელოდებიან.**

**200 ლარის ნომინალის ბანკნოტის ავერსზე გამოსახული უნდა იყოს ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი, რევერსზე კი სოხუმის ხედი.**

## ყარსი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა 400 მილიონი დოლარი დაჯდება

**სტამბოლში ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელი, ქართველი და თურქი რკინიგზელების კონსულტაციები დაიწყო.**



**მხარეები სტამბოლში პროექტის დეტალებსა და მისი დაფინანსების წყაროების მოძიებაზე იმსჯელებენ. წინასწარი მონაცემებით, ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის ასამოქმედებლად დაახლოებით 400 მილიონი დოლარია საჭირო.**

**ამ თანხის ნაწილი ყარსი-ახალქალაქის 98-კილომეტრიანი მონაკვეთის აშენებას, ხოლო დანარჩენი ახალქალაქი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციაზე დაიხარჯება.**

## თბილისში ავტობუსების 85 მარშრუტი დადგინდა

**სექტემბრის ბოლოსათვის თბილისი სრულად დაიტვირთება ახალი ავტობუსებით. დედაქალაქში 85 სამარშრუტო ხაზზე 500-მდე ავტობუსი ივლის.**

**როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, დღეიდან უკვე 10 ახალი ავტობუსი დაემატება წყნეთს, მალე ახალი ავტობუსი ვაზისუბანსა და მეტრომშენის დასახლებაშიც ივლის.**

**როგორც ჩიკვილაძემ განაცხადა, ქალაქის მერია არ გეგმავს ახალი კერძო ტაქსების შემოყვანას, რადგან მერიას არ აქვს საკუთარი ტაქსების ყოლისა და მათი შენახვის საშუალება.**

## მეტრომშენის დასახლებიდან თავისუფლების მოედნამდე

**მეტრომშენის დასახლებიდან თავისუფლების მოედნამდე ახალი „ბოგდანის“ ტიპის ავტობუსი ივლის.**

**ახალი ხაზის პრეზენტაციას გუშინ თბილისის მერი გიგი უგულავა, მერიის აპარატის უფროსი მამუკა ახვლედიანი და ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი ესწრებოდნენ.**

**როგორც ქალაქის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, ახალი ხაზის დანიშვნა მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით მოხდა. №43 ავტობუსი მეტრომშენის დასახლებიდან კახეთის გზატკეცილს, მეტროსადგურ „ისნის“ ტერიტორიას, ქეთევან წამებულის გამზირს გაივლის და კოლმეურნეობის მოედანზე გაჩერდება.**

## ბორჯომის უნიკალური ტყეები განადგურების საფრთხის წინაშეა

**არასამთავრობოთა განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ზემოქმედების შედეგად ბორჯომის ტყეებში ნაძვნარი კორომები ხმება.**

**როგორც „სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრსა“ და „ტყის მკვლევართა კავშირში“ აცხადებენ, მილსადენის მიმდებარე ნაძვნარ ტყეებში აღმოსავლური ნაძვის აგრესიული მავნებლის – მბეჭდავი ქერქიჭამიას გამრავლების სტიმულირება შეინიშნება.**

**„შექმნილია ისეთი კრიტიკული ფონი, რომ ტყის მენეჯმენტის დარგში ყოველ კონკრეტულ ნაძვნარ კორომთან დაკავშირებული შეცდომა მბეჭდავი ქერქიჭამიას გავრცელების აფეთქებას გამოიწვევს. სწორედ ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მიმდებარე საკირე-ტაძრისის ნაძვნარი კორომების შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ ეს უშუალოდ ნავთობსადენის მშენებლობასთან არის დაკავშირებული“, – აცხადებს „ტყის მკვლევართა კავშირის“ წარმომადგენელი ნინო გურამიშვილი.**



**ინტერპრესნიუსი**

**აკრძალული ზონა**

# ქრთამი „რესპუბლიკასაც“ ანათებს?..

**ქართულ პენიტენციურ სისტემაში ყველაფერი რომ რიგზე არაა, ეს უკვე კარგა ხნის პრობლემაა, რომლის მოგვარებასაც საშველი ვერა და ვერ დაადგა.**

თუმცა ძველი პრობლემების გადაჭრას ვინ ჩივის, როცა ციხის მესვეურთა უმართებულო და უკანონო ქმედებები ახალ-ახალი ხმაურისა და მითქმა-მოთქმის მიზეზი ხდება.

ჩვენი გაზეთი უკვე წერდა იმის შესახებ, რომ პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელთა თავზე საავდრო ღრუბლები განსაკუთრებით ამ ბოლო კვირეების მანძილზე მოიქუფრა. იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმმა 35 პატიმარს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან პირველ საპყრობილეში სამედიცინო პერსონალის ნებართვისა და სხვა საჭირო ნორმების დაუცველად უკრა თავი.

ამას მოჰყვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის საბჭოს მწვავე რეაქციაც, როცა ამ საბჭოს წევრებმა უხეშ კანონდარღვევებში ბრალი პირდაპირ იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსნებს (კემულარია, კოპაძე, ფანცხავა) დასდეს.

თუმცა ეს იყო და ეს. არსებული პრობლემების გადასაჭრელად რამე ქმედითი, ეფექტიანი ნაბიჯები არც ერთ მხარეს არ გადაუდგამს, რის გამოც სისტემაში არსებულ პრობლემებზე ზრუნვა მონიტორინგის საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს შორის უწყვეტი ურთიერთბრალდებებისა და პრესკონფერენციებით კინკლაობის ფარგლებს ჯერაც ვერ გასცილებია.



სწორედ მორიგი ამგვარი პრესკონფერენცია გაიმართა 19 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროში, სადაც მედიის წარმომადგენელთა წინაშე იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციის უფროსის მოადგილე, პეტრე გელბახიანი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმი დავით ასათიანი წარსდგნენ.

პრესკონფერენცია პეტრე გელბახიანმა გახსნა.

„იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა სამედიცინო დეპარტამენტში ჩატარებული შემოწმების მასალები. იქ მითითებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, მონიტორინგის საბჭოსა და სახალხო დამცველის აპარატის ზოგიერთი წევრის მონაწილეობის შესახებ შესაძლო კორუფციულ გარიგებებში, რაც გამოიხატება ჯანმრთელი პატიმრების (ჯოხაძე და ცანავა) ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უკანონოდ გადაყვანაში. ეს დადასტურებულია ფაქტებითა და დოკუმენტებით“, – განაცხადა გელბახიანმა.

მის მიერ ნახსენებ, პატიმართაგან ერთ-ერთი, ლევან ცანავა, სწორედ ის მსჯავრდებული გახლავთ, რომელიც შეურაცხადად არის ცნობილი და რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს დავით ასათიანს მიაყენა. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ მოხდა ფსიქიურად ავადმყოფი პატიმრის საავადმყოფოდან მეშვიდე საპყრობილეში გადაყვანა.

– რამდენად მართებულია შეურაცხადი პატიმრის ციხის საკანში მოთავსება? – ვკითხე პეტრე გელბახიანს.

– ცანავა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს 12 იანვარს, ექსპერტიზამ კი იგი შეურაცხადად 9 სექტემბერს ცნო. ამ ხნის განმავლობაში იგი უკანონოდ იმყოფებოდა სამკურნალო დაწესებულებაში.

ვინაიდან ცანავამ ფიზიკურად ხელყო სამკურნალო დაწესებულების დირექტორი და მთავარი ექიმი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მისი საპყრობილეში გადაყვანის შესახებ, – ამბობს გელბახიანი.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ფსიქიურად დაავადებული ადამიანი (მით უმეტეს, პატიმარი) ექიმთა მუდმივ ყურადღებასა და განსაკუთრებულ მკურნალობას საჭიროებს. ციხის საკანში კი მისი გადაყვანა არა მარტო თავად ავადმყოფს, არამედ სხვა პატიმრებსაც საფრთხეს უქადის. თუმცა გარდა ამ კაზუსისა, გელბახიანის ნათქვამში ყურადღებამისაქცევი სხვა რამეც გახლავთ.

თუ პატიმარი ცანავა 12 იანვარს უკანონოდ (ე. ი. ჯანმრთელი) გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში და მხოლოდ 9 სექტემბერს ცნეს შეურაცხადად, ისე გამოდის, საღ-სალამათი პატიმარი ფსიქიკურად სწორედ ამ დაწესებულებაში შეშლილა. რაზე მიუთითებს ეს ყოველივე, განსჯა თქვენთვის მოგვინდია.

ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე გვერდს ვერავინ აუვლიდა დაღუპული პატიმრების, შათირიშვილისა და ქსოვრელის თემას. მით უმეტეს იმ ფონზე, როცა გარდაცვლილი ნუგზარ ქსოვრელის დედამ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალი თავისი შვილისადმი უყურადღებობაში დაადანაშაულა და მის სიკვდილში ბრალი სწორედ „რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობას დასდო.

პატიმრის დედამ ისიც განაცხადა, მძიმედ დაავადებული შვილი რესპუბლიკური საავადმყოფოდან სხვა, სპეციალიზებულ კლინიკაში რომ გადამეყვანა, „რესპუბლიკის“ მესვეურებმა ქრთამი გამომართვესო.

გარდაცვლილი, პატიმრის დედის ამ განცხადებაზე პეტრე გელბახიანმა ამგვარი კომენტარი გააკეთა.

„ქსოვრელის სიკვდილის ზუსტი მიზეზი ჯერ უცნობია და როცა ეს დადგინდება, თუ საჭირო გახდა, ზომებსაც მაშინ მივიღებთ. ჩვენ თავად ვართ დაინტერესებულნი ამგვარი ფაქტების გამოაშკარავებით“.

როგორც ხედავთ, სიტუაცია პენიტენციური სისტემის ყველა რგოლში ერთობ დაძაბული და ქაოსურია. როდის განიმუხტება ვითარება?

**ჯაბა ხუბუა**

**მგზავრობა ძვირდება**

# გვემუქრება თუ არა ახალი „ნეპი“?

**საქართველოში ამ ბოლო დროს დამკვიდრებულ ტენდენციაზე – სხვადასხვა მოხმარებისა და დანიშნულების საქონელზე ფასების განუხრელ ზრდაზე ბევრჯერ ვწერდით.**

ბენზინისა და დიზელის საწვავზე ფასის მატებამ მძღოლებს მნიშვნელოვანი თავსატეხი გაუჩინა, თუმცა ამას თბილისში მგზავრობის ღირებულების გაზრდა, საბედნიეროდ, ჯერაც არ მოჰყოლია, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია რეგიონის მკვიდრი მოსახლეობისთვის, სადაც მგზავრობის საფასურმა ყველა შეაშფოთა.

განსაკუთრებით მოიმატა მგზავრობის ფასებმა დასავლეთ საქართველოში მოძრავ ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებზე, ქუთაისის, ზესტაფონის, საჩხერის, ჭიათურისა და სხვა მიმართულებით.

ზრდა განსაკუთრებით საგრძნობია ქუთაისის ტრანსპორტზე, სადაც მგზავრობის ღირებულებამ შვიდიდან ერთბაშად ათ ლარს მიაღწია.

ამის პირველ მიზეზად მძღოლები საწვავზე ფასების ზრდას ასახელებენ. შორ გზებზე მოძრავი ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების უმრავლესობა დიზელის საწვავზე მუშაობს, რომლის ღირებულებამაც 30 თეთრით მოიმატა.

მართალია ლარი და ოცთეთრიან დიზელს მძღოლები დღეს ლარნახევრად ასხამენ, მაგრამ მგზავრობის საფასურის ერთბაშად სამი ლარით მომატება, აშკარად ზედმეტი ჩანს.

ყოველივე ამის გამო კი მძღოლებიც ჩივიან და მგზავრებიც.

მძღოლთა სადარდებელი საწვავში მეტი ფულის გადახდასთან ერთად ისიცაა, რომ მგზავრობის გაძვირების გამო მათ კლიენტიც მოაკლდათ.

მგზავრი ურიცხვად არც მანამდე იყო, დღეს კი საერთოდ ნახევრად ცარიელი დავდივართო, ჩივიან მძღოლები.

წუწუნს არ აკლებენ არც მგზავრები, რომლებსაც მგზავრობის გაძვირების გამო მოძრაობა ერთობ უჭირთ.

გლეხის ნაწარმზე ფასები დაბალია და რაც მოგვაქვს, იმასაც ძლივს ვყიდით. მგზავრობის ფასი კი იმდენია, ვერ ავუდივართ, – ამბობენ მგზავრები.

როცა ამის შესახებ ქუთაისის სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთ მძღოლს ვუთხარი, მგზავრთა ჩივილი მანაც დაადასტურა, თუმცა ისიც დაამატა: ვისაც უჭირს და არა აქვს, ზოგჯერ, შვიდ ლარადაც მიმყავსო.

აღსანიშნავი კიდევ ერთი რამეა: – ქუთაისის მიმართულებით 60-ადგილიანი ავტობუსიც და 14 მგზავრის დამტევი სამარშრუტო ტაქსიც ერთი ფასი – ათი ლარი ღირს.

ამ მხრივ სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია ზესტაფონისა და საჩხერე-ჭიათურის ტრანსპორტზე. მართალია, მგზავრობის საფასური 2-3 ლარით იქაც გაზრდილია, მაგრამ ავტობუსითა და „მარშრუტკით“ მგზავრობის ღირებულება სხვადასხვაა.

მაგალითად: საჩხერემდე ავტობუსით მგზავრობა 7 ლარი ღირს (ადრე 5 ლარი ღირდა), სამარშრუტო ტაქსით კი – 8 ლარი.

მოკლედ რომ ვთქვათ, მგზავრობის ღირებულების ზრდა ისედაც ხელმოკლე მოსახლეობას ერთობ მძიმე პირობებში აყენებს.

გლეხს თავისი პროდუქციის ბაზარზე გამოტანა თანდათან უძნელდება თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება. ქვეყანა ერთობ მძიმე კრიზისში აღმოჩნდეს.

საქართველო შეიძლება კვლავ დიდი ვლადიმერ ილიჩის „ნეპის“ საწყისებზე აღმოჩნდეს და ქართულ სოფლებში პროდუქტის ნატურალურმა გაცვლამ ახალი ძალით იჩინოს თავი.

გვახსოვს: ამ ერთი კვირის წინათ საქართველოს პრეზიდენტი რეგიონებში ახალი გზების დაგებაზე პათოსით საუბრობდა.

გზების დაგება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ქართველმა გლეხობამ საკუთარი ნაწარმის ბაზარზე გატანა თავისუფლად შეძლოსო, – ბრძანა პრეზიდენტმა.

მიზანი მართლაც კეთილშობილურია, მაგრამ საშუალებები ქართველი გლეხისთვის თანდათან მიუწვდომელი ხდება.

**ჯაბა ხუბუა**



**SIC**

# კურსანტებს ცხოვრების იმედი წაართვეს

**თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტებმა გუშინ პარლამენტის შენობის წინ აქცია გამართეს. კურსანტები თავდაცვის მინისტრის იმ ბრძანებულებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც სწავლას მხოლოდ თავდაცვის აკადემიის მე-4 კურსელები გააგრძელებენ.**

**გუშინვე თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტებმა და მათმა მშობლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს.**

**როგორც კურსანტების მშობლები აქციაზე აცხადებდნენ, მათ შვილებს ხელისუფლებამ სწავლის უფლება და ცხოვრების იმედი წაართვა.**

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან მეორე და მესამე კურსის მსმენელები დაითხოვეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ აკადემიის რექტორმა, პოლკოვნიკმა კობა ლაჭყებიანმა განუცხადა, აღნიშნული ფაქტი აკადემიაში განხორციელებულ რეორგანიზაციას უკავშირდება, რომლის საფუძველზეც ოფიცერთა მომზადება ოთხწლიანის ნაცვლად ერთწლიანი გახდა.**

**რექტორის განმარტებით, აკადემიის ხელმძღვანელობამ მათ შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტით სამსახური შესთავაზა, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, აკადემიაში ერთწლიან კურსებზე ჩარიცხვის და ოფიცრის წოდების მიღების საშუალება ექნებათ. გარდა ამისა, კურსანტებს სასწავლებელში გავლილი პერიოდი სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩაეთვლებათ.**

**რაც შეეხება მეოთხეკურსელებს, რომლებიც საქართველო-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში ნატოს სტანდარტების შესაბამის მომზადებას გადიოდნენ და ამ პროგრამის პირველ ნაკადს წარმოადგენენ, ისინი აკადემიას დაასრულებენ, თუმცა დარჩენილ ერთ წელიწადში ახლად შემოღებულ ერთწლიან პროგრამას გაივლიან. აკადემიაში წელს აბიტურიენტთა მიღება არ ყოფილა.**

**გასულ წელს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, კადეტთა კორპუსიც დაიხურა. მაშინ დაწყებითი სამხედრო სასწავლებლის 311 მოსწავლე სახლებში გაუშვეს, ოფიცრები და მომსახურე პერსონალი კი კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს. კადეტთა კორპუსის გაუქმებაც შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეორგანიზაციით აიხსნა.**

**კადეტთა კორპუსის გაუქმების გამო მოსწავლეებმა და მშობლებმა რამდენიმე დღის განმავლობაში სახელმწიფო კანცელარიასთან და პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქციები გამართეს. საქმეში პოლიტიკოსებიც ჩაერთნენ და საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბოლო კურსს სასწავლებლის დამთავრების საშუალება მიეცემოდა, ახალ ნაკადს კი აღარ მიიღებდნენ. კადეტთა კორპუსი ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით 1992 წელს დაარსდა. მოსწავლეთა უმეტესობას მიუსაფარი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები წარმოადგენდნენ, რომლებიც სამხედრო ხელოვნებას საკუთარი სურვილით სკოლის პერიოდიდანვე ეუფლებოდნენ. კადეტთა კორპუსი სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელიწადში 500 ათასი ლარით ფინანსდებოდა.**

**ინტერპრესნიუსი**

**რას წერენ ჩვენზე**

# თბილისში ბუშის ქუჩა გაჩნდება

ცოცხალთა პატივსაცემად ქუჩების სახელდება მიღებული არ არის. ეს ცუდ ნიშნად ითვლება. თუმცა საქართველოში ნიშნებისა არ სჯერათ. თბილისის მერის მითითებით აგერ-აგერ გაჩნდება უმცროსი ჯორჯ ბუშის ქუჩა. სახელს იმ მაგისტრალს უცვლიან, რომელიც აეროპორტს აერთებს ავლაბრის რაიონთან. აშშ-ის პრეზიდენტის კორტეჟმა აქ ხომ ორჯერ გაიქროლა – ასე რომ, საბაბი არის!

აქვე სათქმელად, ახლახან ამერიკამ 295-მილიონდოლარიანი გრანტი გამოუყო საქართველოს. ოფიციალურად – გზათა გასარემონტებლად და ენერგეტიკის განსავითარებლად. ოღონდ ფულის ნაწილი ნაღდად ფირფიტების გამოცვლაზე დაიხარჯება...

ვის სახელს დაარქმევდით ქუჩას რუსეთში?

გაზეთის ამ შეკითხვას 243 კაცი გამოეხმაურა:

| | |
|---|---|
| ***ძუკნა კონისა*** *(რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის საყვარელი ძაღლი)* | *– 56 პროცენტი.* |
| ***ბატკო ლუკაშენკოსი*** | *– 21 პროცენტი.* |
| ***მიხეილ გორბაჩოვისა*** | *– 10 პროცენტი.* |
| ***გერჰარდ შრიოდერისა*** | *– 5 პროცენტი.* |
| ***ცზიან ცზემინის*** | *– 3 პროცენტი.* |
| ***სილვიო ბერლუსკონისა*** | *– 3 პროცენტი.* |
| ***ბორის ელცინისა*** | *– 1 პროცენტი.* |
| ***ჯორჯ ბუშისა*** | *– 1 პროცენტი.* |

„Комсомольская Правда“.

აუჰ!

# მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მეხოტბე... პლაგიატორი

**დაძაბული, ქარიშხლიანი XX საუკუნე კიდევ უფრო მეტად ბობოქარმა, მრისხანე და, ვინ იცის, ეგებ კაცობრიობისათვის საბედისწერო XXI საუკუნემ შეცვალა.**

**დაშლილ და ეკონომიკურად ჩამოქვეითებულ კონგლომერატულ გიგანტს — რუსეთს ერთბაშად ჩაენაცვლა ორი აზიელი ტიტანი — ატომ-ბირთვული იარაღით აღჭურვილი — ჩინეთი და ინდოეთი, რომელთაგან ერთი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (სხვათა შორის, კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით!), მილიარდზე მეტი მოსახლეობით მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო, უკვე თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსაც უბედავს თავდაჯერებულ მეტოქეობას.**

მსოფლიო ძალთა განლაგებაში უკვე აღარ არსებობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ორპოლუსიანი (ბიპოლარული) წესრიგი. ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციამ მკვეთრად დააჩქარა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი, აქამდე თვითმყოფადი ეროვნული კულტურების მზარდი უნიფიკაცია — თავისი დადებითი, მაგრამ მეტად სახიფათო უარყოფითი შედეგებითაც. კაცობრიობის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა გარესამყაროს მოახლოებული ეკოლოგიური დეგრადაციის საფრთხე. ათეულ სახელმწიფოში ერთბაშად იფეთქა რელიგიურმა ექსტრემიზმმა, ულტრამემარცხენე პროტესტანტობამ. მსოფლიოს ხალხები შეაძრწუნა კაცთმოძულე ტერორიზმის ვანდალურმა აქტებმა ამერიკაში, რუსეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში.

უაღრესად მრავალფეროვანი გახდა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა, სხვა სუბიექტების ურთიერთქმედება. ფრიად გართულდა ამ ურთიერთქმედებათა კანონზომიერებათა და თავისებურებების ანალიზი, მის საფუძველზე ოპტიმალური რეკომენდაციებისა და სწორი, მხარეებისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ასეთ მრავალწახნაგოვან ლაბირინთში სწორი გზის გარკვევა არა მარტო „უბრალო“ მოქალაქეთათვის გახდა უაღრესად ძნელი, არამედ ახლადფეხადგმული დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფო მოხელეებისთვისაც (მათ შორის საქართველოსიც), რომლებიც ამაყად ატარებენ რანჟირებული „დიპლომატების“ წოდებებს, თუმცა ამისათვის არც საკმაო ცოდნა აქვთ, არც საკმაო გამოცდილება და, სამწუხაროდ, არც მათი შევსების მისწრაფება.

ჩვენთან ხომ ამ სენმა წმინდა ქართული, ჰიპერტროფირებული სახე მიიღო — სახელმწიფო უწყებები, განსაკუთრებით საგარეოპოლიტიკური პროფილისა, გაივსო „ელიტური წრეების“ შთამომავალთა მასით, რომლებისთვისაც „დიპლომატობა“ მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურად ჭიკჭიკში, ყავის წრუპვასა და ძვირადღირებული სიგარეტების გაბოლებაში გამოიხატება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საელჩოებში ხშირად შეხვდებით ყოფილ გამგებლებს, ბიზნესმენებს, ასე გასინჯეთ — „არქიტექტურის დოქტორებსაც“ კი, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონიათ დიპლომატიის ანბანთანაც კი და რომლებიც ელჩებისა და სხვა პოსტებზე მხოლოდ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ნება-სურვილით მოხვდნენ.

ცხადია, რომ „მოდურმა მოთხოვნილებამ“ ასევე „მოდური მიწოდება“ განაპირობა. მხოლოდ თბილისში (ჩვენთვის უცნობია ეგებ საგარეჯოში, ან ჩოხატაურშიც კი?) რამდენიმე „დიპლომატიური“ უმაღლესი სასწავლებელი ან ფაკულტეტი გაიხსნა: „დიპლომატიური აკადემია“; ორი „დიპლომატიური“ ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტში; ასეთივე ფაკულტეტი (თუ განხრა) ტექ-



ნიკურ უნივერსიტეტში; „დამოუკიდებელი საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი“ საბურთალოზე და ა. შ. ერთ-ერთ „უნივერსიტეტში“ საერთოდ მხოლოდ მოდური ფაკულტეტები გახსნეს „სამკურნალო“, „სტომატოლოგიური“, „იურიდიული“ და... „დიპლომატიური“!?

და გაივსო საქართველო „დიპლომირებული“ „დიპლომატებით“, რომლებიც უმეტესწილად იმასაც ვერ არკვევენ რით განსხვავდება ცნებები „საერთაშორისო ურთიერთობანი“ და „დიპლომატია“...

ყველაფერთან ერთად — დარგში რენომირებული, გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობა და სასწავლო და მეცნიერული ლიტერატურის საოცარი სიმწირე! გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან არც ეროვნულ, არც აკადემიისა და არც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში არ შესულა არც ერთი ახალი, ღირებული (არა ფასის, არამედ შინაარსის თვალსაზრისით) წიგნი ქართულ, ან ხელმისაწვდომ რუსულ ენაზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე.წ. „სოროსის ფონდის“ ბიბლიოთეკას — რომელშიც ბაკალავრიატის სტუდენტებს საერთოდ არ უშვებენ, ან სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებულ ე.წ. „აირექსის“ ბიბლიოთეკას, სადაც სქელტანიანი წიგნები ინგლისურ ენაზე მხოლოდ იქ — პატარა დარბაზში უნდა იკითხო).

ამიტომაც თავს ნებას მივცემთ დარგის დაუფლების მოსურნე ახალგაზრდების ყურადღება მივაპყროთ ბ-ნ ჰამლეტ ჭიპაშვილის მონოგრაფიას „დიპლომატია“, რომელიც გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ მიაწოდა მკითხველს 2005 წელს. მონოგრაფიის ავტორი წლების განმავლობაში ამ დარგში მუშაობდა და ამდენად წიგნი თეორიული და პრაქტიკული თვალთახედვით მნიშვნელოვანია. მით უფრო, რომ იგი ორიგინალური ნაშრომია და არა ვინმესგან ნასესხები.

ცხადია, ამ დარგში ქართულ ენაზე ყოველი ახალი წიგნის გამოჩენა უდავოდ მისასალმებელი იქნებოდა, თუ ის საკუთარ ფართო ერუდიციასა და გამოცდილებას, დარგში მსოფლიო მიღწევათა კრიტიკულ გააზრებას დაეფუძნებოდა.

ამიტომაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგის, პროფესორ **ალბერტ მენთეშაშვილის** წიგნმა **„მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. ნაკვეთი I“**, რომელიც 2004 წლის მიწურულში უნივერსიტეტისავე გამომცემლობამ მიაწოდა მკითხველთ, ფრიად პატივცემული რედაქტორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძისა და ასევე პატივცემული რეცენზენტების — პროფესორების გურამ კუტალიასა და გურამ მანჯგალაძის ლოცვა-კურთხევით, მკითხველთა სერიოზული ყურადღება მიიპყრო.

გამაოგნებელი საოცრება მხოლოდ ისაა, რომ გამოჩენილი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების შესახებ 28 ნარკვევიდან 24 თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა რუსულ ენაზე 2001 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „ვეჩეს“ მიერ დაბეჭდილ ი. ა. მუსკის წიგნს „ასი დიდი დიპლომატი“ (ეს ამ გამომცემლობის მიერ ჩაფიქრებული სერიალის „ასი დიდი და ა. შ.“ ერთ-ერთი წიგნია).

მართლაც რომ ფანტასტიკაა — როგორ დაემთხვა ორი სხვადასხვა ავტორის სიმპათიების ამპლიტუდა ძველი საბერძნეთისა და რომის, ჩინეთისა და იაპონიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის დიპლომატების შესახებ ურთიერთს. ერთადერთი, რომელიც ალბათ ორიგინალური გააზრების შედეგს წარმოადგენს, არის ნარკვევი საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალეს შესახებ. თუმცა ისიც საეჭვოა, როდის მოახერხა ბ-ნმა ა. მენთეშაშვილმა ასე ღრმად ჩახედვა საქართველოს ისტორიაში მსოფლიოს უკიდეგანო ისტორიასთან ერთად?!

**ორი მაგალითი მხოლოდ (შეუძლებელია 24-ივე ნარკვევის დამთხვევათა ციტირება ერთ სტატიაში):**

**„Ôèëèïï ðîäèëñÿ â ñåìüå öàðÿ Àìèíòû III è Ýâðèäèêè. Îí ïðîèñõîäèë èç ðîäà Àðãåàäîâ. Î äåòñòâå è þíîñòè áóäóùåãî öàðÿ ñâåäåíèé ñîõðàíèëîñü íåìíîãî. Èçâåñòíî, ÷òî íàõîäèëñÿ â êà÷åñòâå çàëîæíèêà ó èëëèðèéöåâ, ïîòîì ó ôèâàíöåâ. Òàì îí ïîçíàêîìèëñÿ ñ Ýëëàäîé ñòîëü îñíîâàòåëüíî, êàê íèêòî èç ìàêåäîíÿí. Âåðîÿòíî, Ôèëèïï âîçâðàòèëñÿ íà ðîäèíó, êîãäà ó âëàñòè áûë åãî áðàò Ïåðäèêêà III, êîòîðûé ïîñòàâèë åãî óïðàâëÿòü ÷àñòüþ Ìàêåäîíèè” (ი.ა მუსკი. ციტ. თხზ., გვ. 26).**

**„ფილიპე დაიბადა მეფე ამინტე III-ს და ევრიდიკეს ოჯახში. წარმოშობით ის იყო არგეალების გვარიდან. ახალგაზრდობაში იმყოფებოდა მძევლად ილირიელებთან, შემდეგ თებეელებთან, რის წყალობითაც იგი ელადას საფუძვლიანად გაეცნო. სამშობლოში იგი დაბრუნდა მაშინ, როდესაც ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა მისი ძმა პერდიკე III, რომელმაც მას მაკედონიის ერთი ნაწილის მმართველობა დაავალა“** (ა. მენთეშაშვილი. ციტ. თხზ., გვ.10).

**“Èííîêåíòèé III âçîøåë íà ïàïñêèé ïðåñòîë â ÿíâàðå 1198 ãîäà, êîãäà âëèÿíèå ïàïñêîé âëàñòè âíîâü çàìåòíî îñëàáëî. Äàæå â Ðèìå ïðåôåêò áûë ñòàâëåííèêîì èìïåðàòîðà.**

**Îáû÷íî â ïàïû âûáèðàëè ãëóáîêèõ ñòàðèêîâ, êîòîðûå åäâà ëè íå çàæèâàëèñü íà ñâåòå. Èííîêåíòèþ III áûëî âñåãî 37 ëåò. Îí ðîäèëñÿ â Àíàíüè è ïðèíàäëåæàë ê èìåíèòîìó ðîäó ãðàôîâ Ñåíüè èç Ëàöèóìà. Èííîêåíòèé ïîëó÷èë áëåñòÿùåå îáðàçîâàíèå: þðèäè÷åñêîå - â Áîëîíüå, áîãîñëîâñêîå - â Ïàðèæå áûë âîçâåäåí â êàðäèíàëû ñâîèì äÿäåé Êëèìåíòîì III... Ïîäîáíî áîëüøèíñòâó ïîëèòèêîâ ñâîåãî âðåìåíè îí áûë óáåæäåí â íåîáõîäèìîñòè ïîä÷èíèòü õðèñòèàíñêèé ìèð ïàïñêîé âëàñòè. “Êîðîëåâñêàÿ âëàñòü, - ïèøåò Èííîêåíòèé III, - ïîä÷èíåíà ïàïñêîé. Ïåðâàÿ âëàñòâóåò òîëüêî íà çåìëå è íàä òåëàìè, âòîðàÿ - íàä äóøàìè” (ი. ა. მუსკი. ციტ. თხზ., გვ.68-69).**

„სახელგანთქმული რომის პაპის ინოკენტი III დაიბადა 1161 წ. საერთოდ პაპებს ხანდაზმულ ასაკში ირჩევდნენ, ის კი 37 წლის ასაკში (1198) აირჩიეს. როდესაც იგი ტახტზე ავიდა, პაპების ავტორიტეტი იმდენად შელახული იყო, რომ რომის პრეფექტიც კი ანგარიშს ნაკლებად უწევდა. ის დაიბადა ანანიაში, მიეკუთვნებოდა ლაციუმიდან გამოსულ სახელოვან სენიების გრაფების საგვარეულოს, მან მიიღო ბრწყინვალე იურიდიული განათლება ბოლონიაში... რაც შეეხება ღვთისმეტყველებას, მას პარიზში ეუფლებოდა. თავისი ბიძის პაპა კლიმენტი III ხელშეწყობით, იგი ხელდასხმულ იქნა კარდინალად... ინოკენტი III ქრისტიანული სამყაროს პაპის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების მხურვალე მომხრე იყო. მისი აზრით „სამეფო ხელისუფლება პაპს ექვემდებარება. თუ პირველი ბატონობს მხოლოდ მიწაზე და სხეულებზე, მეორე — ცაში და სულებზე”. (ა. მენთეშაშვილი. ციტ. თხზ. გვ. 29-30)

ის. მე-6 გვ.

ძმობა ორმხრივი უნდა იყოს!

# ქართველები აფხაზურ ენას სწავლობენ

**თბილისში, სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში აფხაზური ენის შემსწავლელი უფასო კურსები გაიხსნა. ამ ცნობას მოწონებით შეხვდა საზოგადოება. აი, რა გვითხრა ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გივი კილასონიამ:**

— ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა ყველაზე გონივრული და მისაღებია. ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ აფხაზურ ენასა და კულტურას, აფხაზეთის სულიერ განძს ქართველებზე დიდი დამცველი და პატივისმცემელი არ ჰყავს. საქართველოს კონსტიტუციით აფხაზურ ენას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასურველია ქართველები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ფლობდეს აფხაზურ ენას.

სწორედ ამიტომ, სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაზაზე გახსნა აფხაზური ენის შემსწავლელი უფასო კურსები. ამ სიახლით დაინტერესებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ საჭირო გახდა რამდენიმე ჯგუფის ჩამოყალიბება. მომავალში ამ კურსების არეალი გაფართოვდება.

საფიქრალი ის არის, თუ როგორ შეხვდება ამ წამოწყებას თვით აფხაზი ხალხი. ალბათ, დადებითად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ნაწილს, რომელსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების თაობაზე არაფრის გაგონება არ უნდა.

თავად განსაჯეთ, რომელ პატიოსან აფხაზს არ გაუხარდება, თუკი სახალხო დიპლომატიის ეგიდით აფხაზეთში ჩასული ქართული დელეგაციის წევრები მათ ენაზე ისაუბრებენ. რომელი დაკვირვებული აფხაზი ვერ მიხვდება, თუ რაოდენ ფასდაუდებელია აფხაზური ენისადმი ქართველების პატივისცემა და მხარდაჭერა, — დაასრულა ბატონმა გივი კილასონიამ.

ჩვენ აფხაზებთან მტრობა კი არა, მეგობრობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება გვინდა. ქართველი ერის სულისკვეთებას კარგად გამოხატავს შოთა ნიშნიანიძის ლექსის ორი ტაეპი: „შენ, აფხაზეთო, ბევრი კარგი გმირის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ!“

რაც შეეხება უშუალო აფხაზური ენის კურსებს, 2005 წლის 15 ივნისს გაიხსნა. სასწავლო დღეებია სამშაბათი და პარასკევი. სწავლება 3 თვის მანძილზე დღეში ორჯერ გაიმართება — დილის 11 და საღამოს 5 საათზე. სადღეისოდ აფხაზურ ენას ორმოცდაათამდე ახალგაზრდა ეუფლება. მათ ხელმძღვანელობს შერეული ოჯახის წარმომადგენელი პედაგოგი ესმა კოკოსკერია.

ეს, კი ბატონო, მაგრამ აფხაზები თუ დაიწყებენ ქართული ენის შესწავლას? ძმობა ხომ ორმხრივი უნდა იყოს?

**ზურაბ მოდებაძე**



ინფორმაცია

## ათონის მთიდან გელათში...

**ქუთაისის** ეთნოგრაფიული მუზეუმიდან ქუთათელ-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით საზეიმო მსვლელობით წმინდა ნაწილები გამოასვენა.

წმინდა გიორგის თავის ქალის ნაწილი, წმინდა დემეტრეს თავის ქალა და სხვა სიწმინდეები გუშინ, საღამოს გელათის სამონასტრო კომპლექსში მრევლმა ფეხით აიტანა. პარაკლისის გადახდის შემდეგ კი საეკლესიო სიწმინდეები კვლავ მუზეუმში დააბრუნეს.

“საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად, სახელმწიფომ ეკლესიას გადასცა აღნიშნული ნაწილები. თუმცა, იმის გამო, რომ ჯერ ჩვენთან ვერ ხერხდება საიმედო დაცვა, იძულებული ვართ კვლავ მუზეუმში შევინახოთ ის“, -განუცხდა „ინტერპრესნიუსს“ მიტროპოლიტმა კალისტრატემ.

წმინდა ნაწილები, რომელიც არსენ იყალთოელმა 900 წლის წინ ათონის მთიდან გელათში ჩამოიტანა, ეკლესიას 1923 წელს ჩამოერთვა და ის მუზეუმში ინახებოდა.

## კოტე კემულარიას სასამართლოში უჩივიან



**არასამთავრობო** ორგანიზაცია „ემპათიას“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი იუსტიციის მინისტრ კოტე კემულარიას უზენაეს სასამართლოში უჩივის.

როგორც ინტერპრესნიუსს მოსარჩელის წარმომადგენელმა ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ანა დოლიძემ განუცხადა, ჯიშკარიანი მინისტრისაგან ან ბოდიშის მოხდას, ან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

— ჯიშკარიანის პროფესიონალიზმსა და მის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, — განაცხადა დოლიძემ.

მისი თქმით, მოსარჩელე იუსტიციის მინისტრისგან იმ განცხადების გამო მოითხოვს ბოდიშის მოხდას, როდესაც მინისტრმა ჯიშკარიანი მექრთამეობაში დაადანაშაულა.

## სად მიჰყავდათ ქართველი ბავშვები?

**უკრაინელი** ქალი ორი ქართველი ეროვნების არასრულწლოვანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა. ბავშვები ამ დროისთვის უკრაინელ მესაზღვრეებთან იმყოფებიან.

როგორც სააგენტო „იტარ-ტასი“ იუწყება, მესაზღვრეები არასრულწლოვანების კავკასიურმა აქცენტმა დააეჭვა, რის გამოც ლვოვის მხარეში მცხოვრებ ქალბატონს ბავშვების, როგორც საკუთარი შვილების, გერმანიაში გადაყვანის საშუალება არ მიეცა.

როგორც უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური იტყობინება, 13 წლის ბიჭი და 15 წლის გოგონა საქართველოს მოქალაქეები აღმოჩნდნენ, თუმცა, ისინი უკრაინელი ქალბატონის პასპორტში ჩაწერილები იყვნენ, როგორც ამ ქალის ღვიძლი შვილები.

შემოწმებისას დადგინდა, რომ უკრაინელი ქალბატონი ბავშვების გაყვანის სანაცვლოდ ორი ქართველი ეროვნების მამაკაცისგან გარკვეულ ფინანსურ ანაზღაურებას იღებდა. სამართალდამცველებმა ეს მამაკაცები ქ. ჟიდაჩევიში უკრაინელი ქალის ბინაში დააკავეს. დაკავებულებმა განმარტეს, რომ არასრულწლოვანების კვალდაკვალ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას აპირებდნენ.

## კოპაძესთან ვერ იმუშავებს?



**საქართველოს** გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი რამაზ დულაძე.

როგორც ცნობილია, რამაზ დულაძე რამდენიმე დღის წინათ საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა. მისი განცხადებით, როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ისეთი ადამიანი, როგორიც შოთა კოპაძეა, იგი ვერ ითანამშრომლებს ამ სისტემასთან.

გუშინწინ იუსტიციის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ირაკლი გელბახიანმა განაცხადა, რომ გენერალურ პროკურატურას გადაეცა მასალები, რომლის თანახმადაც შესაძლოა, სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას.

## რუხში თურქები დააკავეს

**მდინარე** ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ტერიტორიაზე ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს მიკროავტობუსი, რომლითაც 18 თურქი ეროვნების მოქალაქე მგზავრობდა. მათ პასპორტებში ყალბი ვიზები ჰქონდათ ჩარტყმული.

როგორც მიკროავტობუსის მძღოლმა გიორგი ნანავამ განმარტა, თურქებმა მას ხაშურიდან ზუგდიდში ჩაყვანა სთხოვეს.

თურქი ეროვნების მოქალაქეები ჯერჯერობით დუმილის უფლებას იყენებენ. მხოლოდ ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ მათ განზრახული ჰქონდათ აფხაზეთის ტერიტორიის გავლით რუსეთში გადასვლა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ზუგდიდში ჩასვლა და ყალბი ვიზის საშუალებით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადასვლა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## მაინც გაიქცნენ

**ზუგდიდის** რაიონის სოფელ ინგირში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ძებნილების დაკავების მიზნით სპეცოპერაცია ჩაატარეს.

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სამი შეიარაღებული ძებნილი თავს აფარებდა ინგირში ერთ-ერთ მიტოვებულ სახლს. პოლიციამ სახლს ალყა შემოარტყა და ძებნილებს დანებება შესთავაზა. თუმცა, შეიარაღებულმა პირებმა პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შემდეგაც ძებნილებმა გაქცევა და ალყის გარღვევა სცადეს.

პოლიციამ მათ ცეცხლი გაუხსნა. ორი ძებნილი მიიმალა, ხოლო ერთმა მათგანმა -ვახტანგ თოდუამ თვითმკვლელობა სცადა. იგი მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია.

## რუსეთში „ჰალვა“ გააბეს

**როგორც** „ინტერფაქსი“ იუწყება, “ჰალვა“ რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლმა სამმართველომ ქართველი კოლეგების დახმარებით დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, „ჰალვა“, იგივე მურმან ტვილდიანი „სვანური“ კრიმინალური დაჯგუფების წევრია.

ტვილდიანი ეჭვმიტანილია 2002 წელს თბილისში მცხოვრები ვინმე ირაკლი ქორთავას გატაცებაში, რომელსაც გამოსასყიდის სახით 50 ათასი აშშ დოლარი გამოძალა.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ტვილდიანის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით.

## 26 სექტემბერს მოსწავლეები უფასოდ იმგზავრებენ

**ახალი** სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს მოსწავლეებს ყველა სახის მუნიციპალური ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება.

ამის შესახებ თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ მეტრომშენის დასახლებაში ახალი ავტობუსების პრეზენტაციაზე განაცხადა.

მერის თქმით, ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით 26 სექტემბერს მოსწავლეებს შეეძლებათ უფასოდ იმგზავრონ მეტროპოლიტენით, ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით.

„ეს არის მერიის საჩუქარი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით“, — აღნიშნა უგულავამ.

**ინტერპრესნიუსი**

საწარმო

# „სანდოს“ პროდუქტები სანდო და ხარისხიანია

**ვისაც შპს „სანდოს“ არაჟანი, ხაჭო და მაწონი გაუსინჯავს, სხვა ფირმის პროდუქტს აღარ გაეკარება. გემოვნებაზე, მართალია არ დავობენ, მაგრამ ამ ფირმაზე კარგის თქმის უფლებას, სწორედ მოსახლეობის საერთო აზრი მაძლევს. ქართული ბაზარი გადაჭედილია სხვადასხვა სახეობის რძის პროდუქტებით, მაგრამ მთავარია, აქედან შეარჩიო საუკეთესო. „სანდოს“ სანდოობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინათ, როდესაც „შერატონ მეტეხი პალასში“ ყველაზე პოპულარული ბიზნეს-სტრუქტურებისა და საქმიანი ადამიანების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, ნომინაციაში ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია — საპრიზო ადგილი სწორედ შპს „სანდოს“ ხვდა წილად.**

წლეულს, ექსპოზიციის დროს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ ამ ფირმის პროდუქტები ფართოდ იყო წარმოდგენილი და დამთვალიერებელთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა. წარმოდგენილ მრავალ საწარმოთაგან შპს „სანდოს“ რძის პროდუქტები გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით, კარგი გემოთი და სხვა, მისთვის დამახასიათებელი კვებითი ღირებულებებით. დაარსების დღიდან გამოირჩეოდა მისი პროდუქტები და ამიტომაც შპს „სანდოს“ „ქართული ხარისხის“ ნიშანი მიენიჭა. ამ ჯილდოს იოლად არავის აძლევენ, დამსახურება უნდა.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „სანდო“ სულ ხუთიოდე წელია, რაც არსებობს, კარგია, რომ მან უკვე მოსახლეობაში დიდი პოპულარობა და პატივისცემა მოიპოვა.

როგორც იტყვიან, „სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნიჭიერი, კვალიფიციური, თავისი საქმის მცოდნე ადამიანები ყოველთვის გამონახავენ გზას და ცხოვრებაში არ დაიკარგებიან, ოღონდ, მთავარია, მონდომება.

შპს „სანდოს“ დირექტორი თამაზ კუთხაშვილი ადრე საწარმოო გაერთიანება „თბილრძეში“ კომერციული დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია ამ საწარმოზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც საწარმოს სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდა, რა თქმა უნდა, გაუჭირდათ. 2000 წელს იგი ამერიკელების კუთვნილება გახდა. მაშინ ბევრმა ქართველმა აქციონერმა საკუთარი წილი გაყიდა და, ფაქტობრივად, ამერიკელი ინვესტორი შესყიდული აქციებით საწარმოს დაეპატრონა. მას თავისი მიზანი ჰქონდა, საწარმო, მართალია, თანამედროვე სტანდარტების დონეზე ამუშავდა, მაგრამ, ბუნებრივია, ახალ ხელმძღვანელობას თავისი ხალხი უნდოდა და მაშინ საწარმო ბევრმა გამოცდილმა, ნიჭიერმა ადამიანმა დატოვა. ახლანდელი „სანტე უოლშ პროდუქტები“ ძველი „თბილრძეა“, ოღონდ უფრო ნაკლები ადამიანებით.

საწარმოდან წამოსულმა ადამიანებმა საარსებოდ ზოგმა რა გამონახა და ზოგმა რა. თამაზ კუთხაშვილი იძულებული გახდა საკუთარ ბიზნესზე ეფიქრა. რამდენიმე დამფუძნებელმა გადაწყვიტა, საკუთარი მაღალი კვალიფიკაციის და გამოცდილების ხარჯზე შეექმნათ შპს „სანდო“, რომელიც რძის პროდუქტებს გამოუშვებდა. წინასწარ შეისწავლეს თბილისისა და სხვა რეგიონების ბაზარი და საქმეს მონდომებით და ინტერესით შეუდგნენ. ტერიტორია იჯარით აიღეს, შენობა გაარემონტეს, შეიძინეს თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარები და საქმე დაიძრა...

შპს „სანდოს“ დირექტორი თამაზ კუთხაშვილი ახლა უკვე კმაყოფილი გვეუბნება, რომ მათი საწარმო წელში გაიმართა. სულ უფრო და უფრო იზრდება მოსახლეობის ინტერესი პროდუქტებისადმი. სათანადო სპეციალისტებიც არ აკლიათ. ტექნოლოგები, ლაბორატორიის გამგე ყველანი თავის საქმეს ჩინებულად უძღვებიან, ხოლო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ ყურაშვილი კონსულტაციას უწევს ხარისხის დარგში, ეხმარება საწარმოს ახალი პროდუქციის ათვისებაში.

2000 წელს ფირმაში სულ ხუთი კაცი მუშაობდა. ორიოდე კაცი მოდიოდა, ყიდულობდა ჩვენს პროდუქტს და სადღაც ყიდდა. მერე თანდათან შემოსავლები გაჩნდა და, შესაბამისად, წარმოებაც გაიზარდა. ძირითადი ჩვენი მიზანი მაინც ხარისხის შენარჩუნება იყო. რადგან სხვანაირად პროდუქციას ვერ გაყიდი. დღეს თბილისში რძის გადამამუშავებელი ბევრი საწარმოა. ძალიან დიდი კონკურენციაა და თუ არ გვექნება კარგი ხარისხი, სხვანაირად პროდუქციას არავინ შეხედავს. ნელნელა დღევანდელ დღემდე ასე მოვედით, — განაგრძობს თამაზ კუთხაშვილი.

ახლა საწარმოში სამოცდაათი კაცია დასაქმებული, მაინც მცირე საწარმოდ ვითვლებით, მაგრამ ხუთ წელიწადში ამის მიღწევაც, ვფიქრობთ, ურიგო საქმე არ არის, დღეს თბილისში ყველამ იცის ფირმა „სანდო“, ჩვენი პროდუქცია მართლაც სანდოა, მაღალ ხარისხსაც ინარჩუნებს, ამიტომ მომხმარებელიც ბევრი ჰყავს.

თავიდან საწარმოში მხოლოდ არაჟანის გამოშვება დაიწყეს, მერე მას დაუმატეს ხაჭო, მაწონი, მოჭიქული ყველეულის სიროფი, მერე ხაჭოს ასორტიმენტიც გააფართოეს.

სულ ერთი [illegible]

**ლალი ქინქლაძე**

სხვისი ომი

# „მაიდანის" კარვები სახელისუფლებო დერეფნებში იშლება



**ჰორიზონტზე ახალი „მაიდანი" გამოჩნდა – „ნარინჯისფერი რევოლუციის" ადგილის დედა კიევში: „ნარინჯისფერმა დედოფალმა" – უკრაინის უკვე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ ოპოზიციის ჟანა დარკის როლი მოირგო.**

ახალმა ქარმა კარვის, შფოთის ამ ბასტიონის, კალთები ისე ააფრიალა, რომ დემოკრატიის მაღალი იდეალების „საქმიანი ეზოს" აქამდე დაფა-


НАШЛА КОСА НА КАМЕНЬ

Тимошенко потеряла высокий пост из-за того, что не следила за языком



„ექსპრეს-გაზეტას" (№37) პუბლიკაცია.

რული, არცთუ ზნეობრივი დეტალები „სექონდ ჰენდის" საქონელივით დახლზე გამოფინა.

საკმაოდ ძვირად ღირებული აღმოჩნდა ეს საქონელი – **მეორადი მოხმარების რევოლუცია, სხვაგან უკვე გამოყენებული მეთოდებით და საშუალებებით ბარიკადებზე გასული.** ფული ყოფილა თურმე ასეთი რევოლუციების მოწყობის „საწვავიც" და მათი „აღმძრავი ღვედიც".

ეს-ესაა გავრცელდა დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით **ექსორიაქმნილმა რუსმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ, პრესაში ბაბად დაშიფრულმა, 15-მილიონი აშშ დოლარი გადაურიცხა უკრაინის პრეზიდენტ იუშჩენკოსთან დაკავშირებულ ფირმებს, მისი საპრეზიდენტო კამპანიის ჩასატარებლად.** ამ საარჩევნო კამპანიისა და რევოლუციის საერთო მიზანზე სიტყვის გაგრძელება, ალბათ, არ ღირს.

უკრაინის პირველი პრეზიდენტი, უკრაინის რადას (პარლამენტის) სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი ლეონიდ კრავჩუკი დაინტერესდა ამ საჩოთირო საქმით და სულ რაღაც ნახევარ საათში გაარკვია, რომ გადარიცხვის ფაქტს მართლაც „ჰქონდა ადგილი" და რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, ყალბი არ არის. მათი ნამდვილობა კრავჩუკს თავად ბორის ბერეზოვსკიმ დაუდასტურა. ბაბმა დაამატა, რომ კომენტარისგან ამჯერად თავს შეიკავებს და სათქმელს ამ საკითხზე იუშჩენკოს ან მისი მთავარი მრჩევლის განცხადების შემდეგ იტყვის.

ბაბის ამ ფინანსური ოპერაციის ამბავი არც ადრე იყო მაინცადამაინც გასაიდუმლოებული. მაგრამ საჯაროდ მისი გამოტანა, ანუ გადარიცხვის დოკუმენტების პუბლიკაცია მინისტრთა კაბინეტის გადაყენებამ დააჩქარა. ეს ფაქტი იუშჩენკოს ოპოზიციამ დაიხვია ხელზე: **უცხოეთიდან არჩევნების დაფინანსება უკრაინის კანონმდებლობით აკრძალულია,** ბორის ბერეზოვსკი კი, მოგეხსენებათ, რუსი ბიზნესმენი-ემიგრანტია. ე.ი. მისგან დახმარების მიღება კანონის უხეში დარღვევაა. მაგრამ ამ დარღვევას ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდება, რადგან სულელი აღარავინაა და ასეთ ფულებს ლენინის ძეგლივით ხელგაწვდილი არავინ ხვდება. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ბაბის მილიონიანი შემოწირულობა ჯერ ბერეზოვსკის უკრაინულ ფირმებში ირიცხებოდა, იქიდან კი ისე, რომ ამას არავინ არ ახმაურებდა, უშუალოდ იუშჩენკოს საარჩევნო შტაბს გადაეცემოდა.

**თანაც ამბობენ, რომ ეს 15 მილიონი „ყველა ფული არ არის".** ლეონიდ კრავჩუკი იმაზეც მიუთითებს, რომ იუშჩენკოს წარმომადგენლები დავით ჟვანია, რომან ბესმერტნი და ალექსანდრე ტრეტიაკოვი ხშირად სტუმრობდნენ ლონდონს და იქ გარკვეულ პირებთან ინტენსიური მოლაპარაკებები ჰქონდათ იუშჩენკოს დაფინანსების საკითხზე.

**ამ სკანდალში მონაწილეობის აღიარება ბერეზოვსკიმ თავიდან მაინცდამაინც არ ისურვა. „მე მხოლოდ ის დავადასტურე, – უთხრა მან ჟურნალისტებს, – რომ საგადასახადო დოკუმენტები ნამდვილია, მაგრამ რა შუაშია აქ იუშჩენკოს საარჩევნო კამპანია? ამის თაობაზე მე სიტყვაც არ მითქვამს: არც უარმიყვია, არც დამიდასტურებია... მე ვადასტურებ მხოლოდ გადარიცხვის ფაქტს მავანი ადრესატისთვის, მაგრამ არ ვამბობ, არის თუ არა იგი იუშჩენკოსთან რამენაირად დაკავშირებული".**

ისეთი უარია, უკეთეს დადასტურებას ვერც ინატრებ. და მართლაც, ამ ორშაბათს ნტვ-ს საღამოს ეთერში **პირადად ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ რევოლუციამდე, რევოლუციის დროს და შემდეგ ხვდებოდა ჟვანიას, ბესმერტნის და სხვებს იუშჩენკოს საპრეზიდენტო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.**

პასუხი თითქოს გაცემულია, მაგრამ აქვე იბადება მორიგი შეკითხვა: **რატომ, რა მიზნით გაიკრა ჯიბეს ხელი ბორის ბერეზოვსკიმ?**


ახლა ძნელია იმის თქმა, რას ეუბნებოდნენ ერთმანეთს სკანდალში ჩათრეული ადამიანები.

პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ბაბი ამ შემთხვევაში ტაქტიკურ ნაბიჯს დგამდა – **უკრაინიდან რუსეთზე უნდა გასულიყო 2007 და 2008 წლების არჩევნებში თავისი სტრატეგიული პროგრამის განსახორციელებლად, საამისოდ ერთგვარი პოლიტიკური პლაცდარმის მოსამზადებლად,** ხოლო ვინ იქნებოდა კონკრეტული სახე, ვისაც გვერდით დაუდგებოდა – იუშჩენკო თუ ტიმოშენკო – მისთვის პრიციპულად სულერთი იყო. სწორედ ამიტომ, როცა ახალი პრეზიდენტის მიზეზით მისი ვიზიტი უკრაინაში ჩაიშალა, მან ტიმოშენკოს ბანაკში გადაინაცვლა (მიუხედავად იუშჩენკოსთვის ჩადებული საკუთარი 15 მილიონისა) და ახლა აქტიურად იღვწის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად.

მეტიც: გამოცდილ პოლიტმოთამაშე ბერეზოვსკის 15-მილიონიანი კვალი განზრახ დაუტოვებია, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა როგორც ფაქტი მომავალი პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ, მანამდე კი „შენ ხომ მე დაგეხმარეს" ლაგამი მაგრად ეჭირა ხელში.

**მილიონიანი შენაწირი გზაზე ქვასავით დადებული მადლივით იყო, რომელსაც ფეხს წამოკრავს სიკეთეს მინდობილი კაცი და წაიქცევა.**

რაც უფრო დიდია პოლიტიკა, მით უფრო ბნელია მისი კულუარები. ძალიან ხშირად, მაღალი იდეალების დეკლარირების მიღმა შეიძლება ელემენტარული პიროვნული შეუთავსებლობა იმალებოდეს, მეშჩანური წაკინკლავებაც კი, მირგოროდელი პატივცემული მოქალაქეების ივან ივანოვიჩისა და ივან ნიკიფოროვიჩის წაჩხუბების მსგავსი რამ:

**– „თქვენ კი, ივან ივანოვიჩ, ნამდვილი მამალი ბატი ხართ...**

**– ეს რა თქვით, ივან ნიკიფოროვიჩ? – ჰკითხა მან და ხმას აუწია.**

**– მე ვთქვი, რომ თქვენ მამალ ბატსა ჰგავხართ, ივან ივანოვიჩ!**

**– როგორ გაბედეთ, ბატონო, დაივიწყეთ ზრდილობა და პატივისცემა**


ვინ იფიქრებდა, რომ ორთა ასეთი თბილი ურთიერთობა ასე მალე თუ დაირღვეოდა.

**ადამიანის ჩინისა და გვარის მიმართ და ასეთი სალანძღავი სიტყვით პატივი აჰყარეთ მას?" –** და ასე შემდეგ. ამ „ომის" საკვანძო სიტყვა „მამალი ბატია".

პროვინციელი მეშჩანების წაკინკლავებასთან რა საქმე გვაქვს, მაგრამ აი, ქვეყნის პირველი პირები დაახლოებით ამავე მიზეზით ერთმანეთს სამტროდ რომ გადაეკიდებიან, მაშინ ხალხმა უნდა იტიროს შავი ცრემლებით.

ახლა რასაც გეტყვით, ჭორი არ უნდა იყოს, რადგან „ექსპრეს-გაზეტას" კოლეგები ადასტურებენ, ჭეშმარიტად ასეაო: იულია ტიმოშენკოს და ვიქტორ იუშჩენკოს – რევოლუციის ამ ორი ფრთის დაპირისპირება ბიზნესინტერესების შეუთავსებლობის გამო გამწვავდა, ხოლო **საყოველთაოდ გაცხადდა მას შემდეგ, რაც „ნარინჯისფერმა პრინცესამ" პრეზიდენტს, მუწუკებიანიო, ზურგს უკან უძახა. იუშჩენკოს მაგიდაზე დაუდეს იულია ტიმოშენკოსა და ფინანსური ჯგუფის „პრივატის" მფლობელის იგორ კოლომოისკის სატელეფონო ჩანაწერი. მეგობრების ეს წყვილი მათ გარშემო შექმნილ ვითარებას არანორმატიული ლექსიკით არკვევდა, ქურდულად „ბლატაობდნენ". ჟურნალისტები მიუთითებენ, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩრეოდა „შესახედად ინტელიგენტი ქალბატონი".**

**კოლომოისკი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ტიმოშენკო მის ინტერესებს მთავრობაში ცუდად იცავს. იულია გაცხარებულა და უპასუხია, რომ მას თავად უწევს საკუთარი უკანალის გადარჩენა, რადგან უშიშროების საბჭოს მდივანი პოროშენკო მუდამ ჩასჩურჩულებს პრეზიდენტს, რომ იულია კახპაა, ძირს უთხრის და ა.შ. პრეზიდენტის ახლობლების აზრით, იუშჩენკო იმაზე გაბრაზდა, რომ კოლომოისკი და ტიმოშენკო საუბრის დროს მას მოიხსენიებდნენ, როგორც „მუწუკებიანს".**

ამ ამბავმა დიდი პოლიტიკის იმ ბნელი კულუარებიდან გამოჟონა, რომლებზეც ზემოთ მივუთითე. ხოლო ოფიციალურად, სახალხოდ ეს ორი ლიდერი ერთმანეთის მაკომპრომენტირებელ ისეთ ფაქტებს „აქღერებს", ამდენ ხანს ერთად როგორ იყვნენ, ისაა გასაკვირი.

ბრალდების ახალ ულუფად იუშჩენკომ ცნობისმოყვარე ხალხს „ცხელცხელი" ფაქტი მიართვა: ტიმოშენკომ პირად ინტერესებს, მათ შორის, კომერციულ ინტერესებს, ანაცვალა „მაიდანის" იდეალები. პრეზიდენტმა შეახსენა თავის ყოფილ „ნარინჯისფერ" თანამებრძოლს სისხლის სამართლის ის საქმე, რომელიც მის წინააღმდეგ რუსეთის გენპროკურატურის მიერ კარგა ხანია, აღძრულია.

ტიმოშენკო ვალში არ დარჩა: მრცხვენია პრეზიდენტის ნაცვლად, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ კუჩმას კომბალი აიტაცაო. კუჩმას პრეზიდენტობის დროს უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ტიმოშენკოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის 12 საქმე აღძრა „უკრაინის ერთიან ენერგოსისტემაში" მუშაობის პერიოდში დაშვებულ დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით. მისი გადაყენება, ამტკიცებს ტიმოშენკო, პრეზიდენტს იმიტომ დასჭირდა, რომ საკუთარი გარემოცვის კორუმპირებულობა დაემალა.

„ნარინჯისფერი" რევოლუციის „კარვების ომმა" სახელისუფლებო დერეფნებში გადაინაცვლა: ერთმანეთს დაუპირისპირდა „მაიდანის" მიერ მოყვანილი ხელისუფლების ორი ლიდერი.

**„როცა ეს გავიგე, თითქოს მეხი დამეცა! დიდხანს არ მინდოდა დამეჯერებინა, ღმერთმანი! ივან ივანოვიჩი წაეჩხუბა ივან ნიკიფოროვიჩს! ასეთი ღირსეული ადამიანები! რაღაა ამის შემდეგ მყარი და მუდმივი ამქვეყნად?** (ნიკოლაი გოგოლი).

ეტყობა, – არც არაფერი.

**არმაზ სანებლიძე**


რა ვერ გაიგეთ „ნარინჯისფერმა პრინცესამ"?


ბორის ბერეზოვსკის მიერ გადარიცხული მილიონების დამადასტურებელი დოკუმენტები.

### ინფორმაცია თემაში

**გუშინ** ცნობილი გახდა, რომ უკრაინის რადამ (პარლამენტმა) „ჩააგდო" პრეზიდენტ იუშჩენკოს მიერ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე დასამტკიცებლად წარდგენილი იური ეხანუროვის კანდიდატურა. დასამტკიცებლად კანდიდატს მხოლოდ სამი ხმა დააკლდა.

გუშინვე პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ გარკვეული ძალები დაინტერესებული არიან უკრაინის ხელისუფლების დაშლაში, თუმცა არ დაუზუსტებია, რომელ ძალებს გულისხმობდა.

## ფხენიანი ახალ პირობებს გამოთქვამს

**ყველა ატომურ პროგრამაზე უარის თქმის შესახებ დეკლარაციაზე ხელის მოწერიდან ზუსტად ერთი დღის გასვლის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ განაცხადა, რომ განაგრძობს ბირთვული იარაღის შემუშავებას მანამ, სანამ მსოფლიო გაერთიანება არ დაეხმარება ელექტროენერგიის წარმოებისთვის განკუთვნილი ატომური რეაქტორის მშენებლობაში.**

როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, შეერთებულმა შტატებმა ხაზგასმით უნდა დაანახოს მთელ მსოფლიოს, რომ ფხენიანს აქვს უფლება მშვიდობიან ატომზე, და რაც შეიძლება სწრაფად დაეხმაროს მას „მსუბუქი წყლით" მომუშავე ატომური რეაქტორის აგებაში.

როგორც ცნობილია, ორშაბათს პეკინში დასრულდა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, რომელშიც მონაწილეობდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, იაპონიის და სამხრეთ კორეის დელეგაციები.

მოლაპარაკების შედეგების მიხედვით, მხარეებმა ხელი მოაწერეს განცხადებას, რომელშიც ხაზგასმულია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა უარს ამბობს ბირთვული პროგრამის გაგრძელებაზე, რის სანაცვლოდაც მას მიეცემა უშიშროების გარანტიები და გაუწევენ ენერგეტიკულ დახმარებას.

ფხენიანმა აღნიშნა, რომ აღადგენს თავის წევრობას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაში და განაგრძობს თანამშრომლობას მაგატესთან.

ამასთან, მხარეებმა განაცხადეს, რომ მომავალში, გარკვეული პირობების შემთხვევაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუწევენ დახმარებას „მსუბუქ წყალზე" მომუშავე ატომური რეაქტორის მშენებლობაში ელექტროენერგიის მშვიდობიანი წარმოების მიზნით.

მაგრამ, ახლა, ფხენიანმა გადაწყვიტა ეს პერსპექტივა მოაახლოვოს, და მოითხოვა ელექტროსადგურის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყება.

იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა უკვე უარყვეს ჩრდილოეთ კორეის მიერ გამოთქმული ახალი მოთხოვნები და აღნიშნეს, რომ ეს არღვევს მიღწეულ შეთანხმებებს. „აშკარაა, რომ ეს ის არ არის, რასაც მათ ხელი მოაწერეს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში", – თქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა.

როგორც მოელიან, ჩრდილოეთ კორეის მიერ გამოთქმულ ახალ მოთხოვნებს განიხილავენ ექვსმხრივი მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბრის დამდეგს უნდა გაიმართოს.

მიმომხილველთა აზრით, ჩრდილოეთ კორეის მიერ გაკეთებულმა ამ ბოლო განცხადებამ, შეიძლება მოლაპარაკება კიდევ ერთხელ შეიყვანოს ჩიხში. მით უმეტეს, რომ ყველაზე რთული საკითხების განხილვა მოლაპარაკების მონაწილეებმა გადადეს. მაგალითად, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, დართავს თუ არა ფხენიანი შეერთებული შტატების ან მაგატეს წარმომადგენლებს მისი ბირთვული ობიექტების შემოწმების უფლებას.




## მერკელი თავის პარტიას მხარდაჭერას სთხოვს

**გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი თავის ახალ ლიდერს აირჩევს. ამ პოსტის მთავარ პრეტენდენტად ითვლება ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკის ლიდერი ანგელა მერკელი, რომლის ხელმძღვანელობითაც პარტიამ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა პარლამენტის არჩევნებში.**

წინასწარი მონაცემებით, ქრისტიანმა დემოკრატებმა ბუნდესტაგში სოციალ-დემოკრატებთან შედარებით სულ სამი ადგილით მეტი მოიპოვეს. ასეთი უმნიშვნელო უპირატესობა არათუ არ აძლევს ანგელა მერკელს მთავრობის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების შესაძლებლობას, არამედ აბსოლუტურად გაურკვეველს ხდის გერმანიის კაბინეტის მომავალ ბედს.

არც სოციალ-დემოკრატებს და არც ქრისტიან-დემოკრატებს არ ჰყოფნით თავიანთი პოტენციური მოკავშირეების ხმები კოალიციის ჩამოსაყალიბებლად.

ახლა წამყვანმა გერმანელმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს დაძაბული კონსულტაციები იმის თაობაზე, თუ როგორ დააღწიონ თავი შექმნილ მდგომარეობას. მაგრამ კომპრომისს თუ ვერ მიაღწევენ 18 ოქტომბრამდე – ამ დროისთვის პარლამენტმა უნდა აირჩიოს ახალი კანცლერი – ქვეყანას ახალი არჩევნები ელის.

მომავალი პოლიტიკური კავშირებიდან ჯერჯერობით ყველაზე რეალურია „დიდი კოალიცია", ანუ ქვეყნის ორი წამყვანი ძალის – სოციალ-დემოკრატების და ქრისტიანი-დემოკრატების ბლოკი. მაგრამ ბევრს ეპარება ეჭვი იმაში, რომ ისეთი განსხვავებული პოლიტიკოსები, როგორიც არიან მერკელი და შრედერი, შეძლებენ ეფექტიანად თანამშრომლობას.

განიხილავენ ასევე ძალზე უჩვეულო კოალიციის შექმნის შესაძლებლობას. საქმე ეხება თავისუფალ დემოკრატებთან სოციალ-დემოკრატების და მწვანეების ჰიპოთეზურ კავშირს. თავისუფალ დემოკრატებს მუდამ განიხილავდნენ როგორც ქრისტიანი-დემოკრატების შესაძლო მოკავშირეს.

კვირას თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა უარყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მთავრობაში ერთად მუშაობის შესაძლებლობა, თუმცა, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ იგი, შეიძლება დაჰყვეს გერჰარდ შრედერის პარტიის მხრიდან ზემოქმედებას.

## უზბეკეთში „ანდიჟანის პროცესი" იწყება

**უზბეკეთის დედაქალაქში სასამართლოს წინაშე წარსდგა 15 კაცი, რომლებსაც ქვეყნის მთავრობა ბრალად სდებს მიმდინარე წლის მაისში ქალაქ ანდიჟანში შეიარაღებული საპროტესტო აქციების ორგანიზებას.**

როგორც ცნობილია, ანდიჟანის გამოსვლები სასტიკად ჩაახშეს სამთავრობო ჯარებმა. ოფიციალური ტაშკენტის შეფასებით, დაიღუპა 187 კაცი, მაგრამ მოწმეები, სამართალქომაგები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდი იყო, საქმე ეხება სულ ცოტა 500 დაღუპულს.

მასობრივი უწესრიგობა ანდიჟანში დაიწყო 12 მაისს, როცა საპროტესტო გამოსვლების მონაწილეებმა შტურმით აიღეს ქალაქის საპყრობილე და გაათავისუფლეს ადგილობრივი ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებამ დააპატიმრა ისლამისტურ-რადიკალურ დაჯგუფებებთან თანამშრომლობის ეჭვით.

ამის შემდეგ, ქალაქში დაიწყო მასობრივი მიტინგები, შეიარაღებულმა დემონსტრანტებმა დაიკავეს ანდიჟანის ადმინისტრაციული შენობები. ქალაქში შეიყვანეს ჯარები. ზოგიერთი მონაცემებით, ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს შეუიარაღებელ ხალხს და გადაუკეტეს მათ უკან დასახევი გზები.

ამჟამად განსასჯელთა სკამზეა სამი ანდიჟანელი ბიზნესმენი, რომელთა დაპატიმრება გახდა კიდეც საპროტესტო აქციათა დაწყების მიზეზი. კიდევ სამი ეჭვმიტანილი მეზობელი ყირგიზეთის მოქალაქეა.

პროცესის დაწყების წინა დღეს, „საერთაშორისო ამნისტიის" და „ჰიუმან რაიტს უოჩის" სამართალდამცველთა ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ უზბეკეთის ხელისუფლება ცდილობს მსოფლიო გაერთიანებას დაუმალოს სიმართლე ანდიჟანში განვითარებული მოვლენების შესახებ. სამართალქომაგთა აზრით, მაისის მოვლენების ობიექტური სურათი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების შედეგად, თუმცა, ამის წინააღმდეგ ილაშქრებს ოფიციალური ტაშკენტი.

როგორც ანდიჟანიდან იტყობინებიან, ქალაქის მცხოვრებლები ამჯობინებენ დუმილს, რადგან აქვთ იმის შიში, რომ ხელისუფლება მათ სასტიკად გაუსწორებს ანგარიშს. დამოუკიდებელი ჟურნალისტები და სამართალდამცველები ან დააშინეს სპეცსამსახურებმა, ან განდევნეს ქვეყნიდან, ამიტომ, პრაქტიკულად ვერავინ ვეღარ იტყვის, თუ სინამდვილეში რა მოხდა ანდიჟანში.

„საერთაშორისო ამნისტიის" მონაცემებით, ამ ბოლო თვეების განმავლობაში უზბეკეთში დააპატიმრეს რამდენიმე ათასი კაცი, რომელთაგან მრავალი ანდიჟანის მოვლენების თვითმხილველი იყო.

თვით უზბეკეთის ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ანდიჟანში იგი გადააწყდა სახელმწიფო გადატრიალების შეიარაღებულ მცდელობას, რომელსაც ისლამისტი რადიკალები ახორციელებდნენ. იმ რადიკალურ-ისლამისტურ ორგანიზაციათა შორის, რომლებიც, ტაშკენტის თქმით, ცდილობდნენ სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებას, ასახელებდნენ თურქესტანის ისლამისტურ მოძრაობას და „ჰიზბ უთ თაჰრირის" დაჯგუფებას, რომლის საქმიანობაც აკრძალულია ამ ქვეყანაში.



2005 წლის 16 სექტემბრის №217 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" **შპს „საქართველოს რკინიგზას"** მის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართების დროებით სარგებლობაში გაცემის მიზნით გამოცხადებულ კონკურსის მე-6 პუნქტში შეაქვს ცვლილება შემდეგი რედაქციით:

**6. ქ. ზუგდიდი, სადგურ ზუგდიდის შენობა, საიჯარო ფართი შეადგენს 4 კვ. მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 5.84 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. „ბეს" ოდენობა შეადგენს 13 ლარს.**

**განცხადება**

2005 წლის 11 ოქტომბერს 15 საათზე თემქის დასახლების მე-3 მ/რ-ში, ისააკიანის ქ. № 1 ჩატარდება **სს „სპაგეტი-94"-ის** აქციონერთა კრება, შემდეგი დღის წესრიგით:

**ცვლილებები საზოგადოების წესდებაში.**

**სს „სპაგეტი-94"-ის სამეთვალყურეო საბჭო.**

**განცხადება**

2005 წლის 5 ოქტომბერს, 11 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის ქ. №1, დანიშნულია **სს „საქაბრეშუმის"** კრედიტორთა კრება.

**მოსამართლე ი. მარიამიძე**

◎ „სიყვარულო ძალსა შენსა"

# ერთი სიყვარულის ისტორია

**„მაშინ მოვა სიყვარული, როცა სულაც არ ელი", — აუცხადდა პოეტის სიტყვები ქალბატონ თინა ბარამიძეს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მთელი ქართული სამედიცინო ინტელიგენციის გამორჩეულ პიროვნებას...**

... ცხოვრობდა თავისთვის მარტო მშვენიერი ქალი — ეტრფოდა „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს", ეთაყვანებოდა ყოველივე ქართულსა და ეროვნულს... წიგნი იყო მისი მესაიდუმლე... ასე მივიდა თითქმის სიცოცხლის დასალიერამდე... და აი, ერთი წიგნის წაკითხვის შემდეგ...



— ოთხმოციანი წლების ბოლო იყო, — მიამბობს ქალბატონი თინა, — წიგნის მაღაზიაში შევედი, ვათვალიერებ თაროებს და მზერა შევაჩერე კიტა ბუაჩიძის ახალგამოსულ წიგნზე — „გრძელზე გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს". ნუთუ ესეც ბედისწერა იყო — რამდენიმე ცალი შევიძინე... გვიანობამდე ვკითხულობდი წიგნს და ვგრძნობდი, როგორ მეძვირფასებოდა უკვე მისი ავტორი. კიტა ბუაჩიძე როგორ არ გამეგო, მისი „ეზოში ავი ძაღლია" ნანახი მქონდა, მაგრამ ეს მძაფრი, ეროვნული მგზნებარებით აღსავსე სტრიქონები, სულ სხვა რამ იყო ჩემთვის... წავიკითხე მეორედ, მესამედ... უკვე ადგილები ზეპირად ვიცოდი... მის ავტორს ჩემთვის ჩუმად ვესაუბრებოდი... გამიკრთა ძილი, დავკარგე მოსვენება, ბატონ კიტას ვეძებდი, მისი გაცნობა მსურდა...

ისევ განგება ჩაერია... რამდენიმე ხნის შემდეგ — 1994 წლის ერთ ნაღვლიან დღეს, ჩემს მეგობარ ლუარა გორდიევიჩთან (სხვათა შორის, თქვენი კოლეგაა) ერთად ახლობლის დაკრძალვაზე ვიყავი, რომ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მეუბნება, ხვალ უამრავი საქმე მაქვს, თანაც 12 საათზე ბატონ კიტა ბუაჩიძესთან ვარ მისასვლელიო... წამოვენთე, „კიტა ბუაჩიძესთან ხარ მისასვლელი?.. გადაეცი, რომ მე ზეპირად ვიცი მისი წიგნები!.."

მეორე დღეს ლუარა მირეკავს, ბატონი კიტა ძალიან დაინტერესდა და თქვა, იქნებ მოვიდეს ეს ქალბატონი ჩემთანო... როგორმე, ხვალ წავიდეთო. ღმერთო, რა დღეში ჩავვარდი!.. დავფაცურდი — მურაბებში შევარჩიე „ჩორნაია სმოროდინა". მაგრამ კიტა ბუაჩიძეს ასე ხომ ვერ ვეტყვი?.. რა ვქნა, ნეტა, ქართულად რა ჰქვია?.. გადმოვიღე ლექსიკონი, „სმოროდინა" — მოცხარი ყოფილა... თაფლიც გადავასხი ჭურჭელში, ნამცხვარი მოვამზადე... მოხუცია მაინც, ესიამოვნება... მივედით მე და ლუარა... ღმერთო, როგორც ძველი ნაცნობი, ისე მიმიღო... ვსხედვართ, შევცქერით ერთმანეთს, ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ... 12 საათზე მისულები საღამოს 6 საათზე დავემშვიდობეთ ბატონ კიტას... ჩაიწერა ჩემი ტელეფონი, გულთბილი წარწერით მისახსოვრა წიგნები...

ლუარამ სახლამდე მიმაცილა, ცალყბად შევიპატიჟე... როგორ მინდა ახლა უარი მითხრას, როგორ მინდა მარტო დავრჩე საკუთარ თავთან, გავაანალიზო დღევანდელი საოცარი დღე... შემოვალ, ერთ ფინჯან ყავას დავლევო, ლუარამ.

ცოტა ხანში ტელეფონი რეკავს. ვიღებ ყურმილს, მე ვარ, კიტა ვარო... ლუარა თუ მანდ არის, ნეტა მეც თქვენთან ვიყოო... ატყდა იმ დღიდან რეკვები... ერთ დღესაც მეუბნება, მიყვარხართო... რა ვქნა, ხმას ვერ ვიღებ, მერე ვეუბნები, მეც დიდ პატივს გცემთ-მეთქი... ერთ დღეს მირეკავს, ჩემი „შავზე შავი წიგნი" გამოვიდა, მინდა გაჩუქოთ, მაგრამ გამომგზავნი არავინ მყავსო. მე მოვალ-მეთქი, დაუფიქრებლად. მივედი, ვსაუბრობთ პირადულ ამბებზე, საქართველოს პრობლემებზე, ხალხის გაუსაძლის მდგომარეობაზე... მაშინ მივხვდი, რომ მეც მიყვარდა იგი... მეორე მისვლაზე მივუტანე დეკორატიული ჭიქა, ნამცხვარი... და ასე... მერე ჩაერივნენ ჩვენი ძვირფასი ადამიანები — გიზო ნიშნიანიძე და გუჯა ბუბუტეიშვილი, გამოაწყვეს სასიძო კოხტად, მოვიდნენ ჩემ წასაყვანად, ოჯახში დაგვწერეს ჯვარი, გადაგვიხადეს ქორწილი... იმხანად კიტა 81 წლის იყო, მე — 65-ის.

**— და, როგორ ცხოვრობდით?** — ჩავურთე ქალბატონ თინას, აქამდე რომ პირდაღებული მივჩერებოდი.

— დამიჯერეთ, ეს უბედნიერესი წლები, უბედნიერესი დღეები იყო ჩემთვის... მართალია, კიტა კვლავაც თავის ბინაში ცხოვრობდა, მე კი — აქ, მაგრამ ჩვენ ყოველდღე ერთად ვიყავით... მე გავხდი მისი მზრუნველი, მის ჯანმრთელობას მიყურადებული... 2000 წელს გარდაიცვალა და ახლა უკვე იქიდან მაძლევს დავალებებს, — რას უნდა მივხედო, როგორ მივხედო...

მის სახელს დღესაც სანთელს ვუნთებ... შარშან, დაბადების 90 წლისთავზე კეთილი ადამიანების დახმარებით გამოვეცი მისი წიგნი, მოვაწესრიგე სასაფლაო — უბრალოდ და ლამაზად, როგორც მას უყვარდა... ვიბრძვი, რომ თბილისის რომელიმე ქუჩას ეწოდოს მისი სახელი და გაიხსნას მემორიალური დაფა იმ სახლის ფასადზე, სადაც იგი კარგა ხანს ცხოვრობდა...

* * *

**ქალბატონმა თინამ ამ რამდენიმე დღის წინათ დამირეკა, 21 სექტემბერს კიტა ბუაჩიძის დაბადების დღეა და იქნებ გამოეხმაუროთო... რაიმე, დაუბეჭდავი სტატია, ვნახოთ-მეთქი. შევთანხმდით, მივაკითხე პეროვსკაიას ქუჩაზე და, რაც ქალბატონმა თინამ იმ დღეს მიამბო, უკეთესს რაღას წაგაკითხებდით?**

**აბა, სიყვარულზე საუბარს რა სჯობს?**

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათზე: ნეფე-დედოფალი — კიტა ბუაჩიძე და თინა ბარამიძე ჯვრისწერის დღეს.**

# ქრონოგრაფი

## 21 სექტემბერი, 1920 წელი



**რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყირიმის მონაკვეთს გამოეყო დამოუკიდებელი სამხრეთის ფრონტი. მთავარსარდლად დაინიშნა მ. ფრუნზე, ხოლო რევოლუციური საბჭოს წევრებად ს. გუსევი და ბელა კუნი. ოქტომბრის მიწურულს სამხრეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. მათ შეძლეს გაენადგურებინათ ჩრდილოეთ ტავრიის ტერიტორიაზე ვრანგელის მთავარი ძალები.**

## 22 სექტემბერი, 1694 წელი



**დაიბადა გრაფი ფილიპ სტენჰოპ ჩესტერფილდი — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და ლიტერატორი. ინგლისურ ლიტერატურაში იგი შევიდა როგორც ავტორი ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებისა, როგორიცაა „წერილები ვაჟიშვილს", რომელშიც გაზიარებული იყო ცნობილი პედაგოგის ჯ. ლოკის იდეები. ვოლტერის მიერ ეს ნაწარმოები შეფასებული იქნა, როგორც XVIII საუკუნის პროზის ეპისტოლიარული შედევრი.**

## 23 სექტემბერი, 1939 წელი

**ნიუ-იორკში მსოფლიო ბაზრობაზე მოათავსეს „დროის კაპსულა", რომელიც წარმოადგენდა 2,28 მეტრის ტყვიაგაუმტარი მინის ჭურჭელს. მასში მოათავსეს წიგნები, 1100 მიკროფილმი, უახლესი ტექნოლოგიის მასალები, მასთან ერთად 35 ყოველდღიური გამოყენების წვრილმანი ნივთი, ისეთები, როგორიცაა ქალის ქუდი და მამაკაცის თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხი. კაპსულა უნდა გაიხსნას 6939 წელს. ზუსტად ხუთი ათასი წლის შემდეგ. მის გვერდით II მსოფლიო გამოფენა-ბაზრობის დროს 1964 წელს მოათავსეს მეორე კაპსულაც, რომლის გახსნაც, ასევე 5 ათასი წლის შემდეგაა ნავარაუდევი.**

## 24 სექტემბერი, 1992 წელი



**საზეიმოდ გაიხსნა საწყლოსნო-სატრანსპორტო არხი რეინი-მაინი-დუნაი, რომელიც მთელ ევროპას კვეთს. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა, ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა ურთიერთშორის საწყლოსნო გზა ტვირთის გადაზიდვისა შეამცირონ 4 ათასი კილომეტრით.**

## 25 სექტემბერი (+1759 წელი)

**ხსენების დღე ღვდელმოწამე დოსითეოზ თბილელისა. იგი მოწამეობრივად აღესრულა 1795 წლის 25 სექტემბერს. საქართველოს შემოესია აღამაჰმად-ხანი. კრწანისის ბრძოლაში მედგრად მებრძოლი ქართველები, შინაგამცემთა „წყალობითაც" დამარცხდნენ ურიცხვ მტერთან. მეფე ერეკლე თავად ედგა სათავეში მტერზე ათჯერ მცირე ქართველთა ჯარს. მტერმა თბილისი აიღო. მეფემ ასორმოცდაათკაციანი ამალით, რომელშიც თითქმის ყველა დაჭრილი იყო, ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. 11 სექტემბერს მთელი თბილისი ცეცხლის ალში გაეხვია. ძარცვავდნენ და კლავდნენ მოსახლეობას, დაარბიეს სტამბა, გაძარცვეს ეკლესიები, მეფის სასახლე. ურჯულოები განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდნენ და აწამებდნენ სასულიერო პირებს. მათ შეიპყრეს თბილელი მიტროპოლიტი წმინდა დოსითეოზი, უამრავი ჭრილობა მიაყენეს მას და სხვა დატყვევებულებთან ერთად მტკვრის ნაპირას მიიყვანეს. წმინდანმა და მისმა სამღვდელო დასმა სიკვდილი ირჩია ქრისტესთვის, ვიდრე სარწმუნოების შეცვლა. მათ ყველა ხელ-ფეხშეკრული გადაყარეს მტკვარში წამების შემდეგ. მიტროპოლიტს, რომელიც ისედაც სიკვდილის პირას იყო მისული, „სამღვდელმთავრო შეღავათი მისცეს" და ხელფეხშეუკვრელად გადააგდეს მტკვარში.**



◎ თარიღი

# ისევ მხნედ და ოპტიმისტურად...

**მუდამ ასეთი იყო და არის, ჩვენი დღევანდელი იუბილარი, 70 წლის ვახტანგ შამილაძე! უფრო მეტიც, რაც წლები ემატება, თითქოსდა „მეორე სუნთქვა" ეხსნება, იმდენად თავდაუზოგავად შრომობს და იღვწის...**

ეს ფიზიკურად. ვიზუალურად კი, მის მთლიანად გათეთრებულ უმცროს კოლეგებს — მეგობრებს სჯობს ეს თმაში ოდნავ ჭაღარაშერეული კაცი... არადა, დღევანდელი გადასახედიდან, უახლოეს წარსულში რაოდენ მრავალფეროვან საქმიანობას იყო შეჭიდებული მისი სამშობლოს სადარაჯოზე მართლაცდა გუშაგად მდგომი...

დე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს ბატონი ვახტანგის ღვაწლი უკანასკნელი მოწვევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობიდან — პირველი მოწვევის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატობამდე... იმავე პერიოდიდან დღემდე, ქართველთა უპირველესი უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, პირველად ბათუმიდან ასეთ დიდ თანამდებობაზე მოწვეული... იმავე წლებში, კვლავ პირველად, აჭარის მკვიდრი, ეთნოგრაფიის სპეციალობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და, რაც მთავარია, უკანასკნელ წლებში — საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი და, ვინ იცის კიდევ რამდენი საამაყო და სასიკეთო ეროვნული საქმის მკეთებელი-მზრუნველი... უპირველესად, რა თქმა უნდა, მისი პროფესიის, მისი უძვირფასესი საქმის დიდოსტატი — ასობით სამეცნიერო სტატიის, ათობით მონოგრაფიის, მხატვრულ-პუბლიცისტური და პოლიტოლოგიური ნარკვევის ავტორი... უამრავი რესპუბლიკური და საერთაშორისო კონგრესის მონაწილე და მომხსენებელი... აურაცხელი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი, კონსულტანტი, მრჩეველი, ოპონენტი და მრავალი ახალგაზრდა მეცნიერის გზაზე დამყენებული ცხოვრებაში და სტუდენტთა უსაყვარლესი ლექტორი...

ბატონი ვახტანგის პირადი ცხოვრებაც უნიკალურია. აჭარაში ცნობილი გვარის შვილს, მეუღლე ქალბატონი ლამიე დიდგვაროვანთა ისტორიული ოჯახიდან ჰყავს, მათი ერთადერთი ქალიშვილის, ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი კოლეგის ნანას მეუღლე დავითიც ხომ იქაური ცნობილი გვარის შვილია და მათი ლამაზი თაიგულები — ორი პატარა გოგონა რომ ბატონი ვახტანგის უსაყვარლესი არსებებია, ამას რაღა მტკიცება უნდა...

ასე, ლამაზად და შეწყობილად, ერთად და ერთხმად ცხოვრობს შამილაძეების ოჯახი... თანაც „ვითომ" ასაკოვან 70 წლის კაცს, მეცნიერს, ორგანიზატორს, დღეისთვის უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს გასაკეთებელი როგორც მშობლიურ ბათუმში, ასევე დედაუნივერსიტეტში! დაუღლელი, ენერგიული და, რაც მთავარია, ოპტიმისტი, ასაკზე გამარჯვებული, გვჯერა, მომავალშიც დიდ წარმატებებს მიაღწევს!

გვიან ღამით ექსპრომტად შეთხზულს, სისხამ დილით ჭაშნიკად მოგართმევთ ამ სადღეგრძელოს — ბარათს, ჩვენო ვახტანგ!

**გილოცავთ დაბადების დღე!**

**უნივერსიტეტელი კოლეგების სახელით პროფესორი**
**ოთარ მიმინოშვილი**

◎ სიახლე

# „გვირაბი", ანუ ალტერნატიული თავშესაფარი

**როცა კლუბი „გვირაბი" იხსნებოდა, ალტერნატიული და ელექტრონული მუსიკის მოყვარულთა შორის ყველა „ანდერგრაუნდის" დაბრუნებას მოელოდა...**

სულ მალე ბოტანიკური ბაღის მიწისქვეშეთში როკმუსიკისა და ფანკმუსიკის საღამოები მოეწყობა, მისტიკურ ინტერიერში საერთაშორისო როკფესტივალი გაიმართება... მოკლედ, ბიუროკრატიული ექსტერიერის მიღმა თამამი მუსიკალური ექსპერიმენტების და იმპროვიზაციული კონცერტების სერია გაგრძელდება.

აქ, ცოცხალი მუსიკა აჟღერდება... აქ, არაკომერციული კონცერტები ჩატარდება... აქ, ყველას ლადო ბურდულის ხმაურიანი სალონური საღამოები გაახსენდება... ის დრო, როცა ინოვაციური იდეებისა და ალტერნატიული ხელოვნების მიმდევარი მუსიკოსის სახლში პერფორმანსები იმართებოდა და მაჩაბლის ქუჩაზე ეს ცხოვრებისეული ალტერნატივა ზოგისთვის ძნელადგასაგები და უფრო ძნელადაღსაქმელ „ანდერგრაუნდად" ითვლებოდა...

ექსტრავაგანტული მუსიკოსის ყველაზე თამამი ინიციატივა კლუბი „გვირაბი", ექსპერიმენტი კი კავკასიის საერთაშორისო როკფესტივალია, რომელიც თბილისში უკვე მეათედ გაიმართება.

ეს ფესტივალი სპონტანური კონცერტების სახით თხუთმეტი წლის განმავლობაში იქმნებოდა, მსმენელი ყოველთვის ბევრი ჰყავდა, ჟღერდა კავკასიური მუსიკა — ფოლკლორი, როკი... ამ კონცერტების სერიას არაამბიციური იდეა განსაზღვრავდა — მსოფლიო რუკაზე კავკასია აღარ ყოფილიყო აღქმული ლოკალური კონფლიქტების, კანიბალური ვნებების, ტერორისტული აქტების საშიშ ტერიტორიად. თავიდან ეს იყო არაამბიციური, თუმცა იმ დროისთვის აქტუალური პოსტულატი... დემოკრატიისა და მშვიდობის თემასთან ასოცირებული ფესტივალი. მიზანი? — როგორც მაშინ, ახლაც ინტერნაციონალურია — მსოფლიომ გაიცნოს ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებლები და აღიაროს მათი შემოქმედება. ასეთი ქრონიკა აქვს მეათე საერთაშორისო როკფესტივალს, რომელსაც ამიერკავკასიელი თუ ევროპელი მონაწილე და უამრავი ფანი წელსაც ტრადიციულად ესტუმრება... ამჯერად „გვირაბში", ალტერნატიულ თავშესაფარში... იქ, სადაც მისტიკური აურა და ინტიმური გარემო როკმუსიკას ჩაენაცვლება.

რაც უფრო დრო გადის, ლადოს მით უფრო ხშირად, გაოცებით და მეტი ინტერესით ეკითხებიან: — **როგორ ახერხებთ, მარტომ გაუწიოთ ორგანიზება ფესტივალებისა და კიდევ, დამატებითი სიურპრიზების მოწყობას?** — ვახერხებ... — მუსიკოსი ამ გამოწვევას ღიმილით ხვდება.

ასე რომ, მოემზადეთ, 30 სექტემბერს კლუბი „გვირაბი" იხსნება.

**მზეხა მახარაძე**

◎ აუჰ!

# მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მეხოტბე... პლაგიატორი

**(მეოთხე გვერდიდან)**

მაგრამ ყველაფერი ეს სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი „ხელის წაცდომა". პროფ. ა. მენთეშაშვილისთვის ეს ჩვეულებრივი მეთოდია სქელტანიანი წიგნების „დალაგებისა". მით უმეტეს, რომ იგი დარწმუნებულია, ჩვენს მეტად მშფოთვარე სინამდვილესა და დარგის სპეციალისტების ნაკლებობის პირობებში არავინ არაფერი იცის და მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებსო! სამწუხარო ისაა, რომ აქამდე ეს თვითდაჯერება, როგორც ჩანს, მართლაც უმართლებდა ბ-ნ ალბერტს.

ჯერ კიდევ 2000 წელს ისევ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ერთბაშად გამოსცა მისი „საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია" — წიგნი I (590 გვერდი) და წიგნი II (626 გვერდი). საკვირველია, როგორ ვერ შეამჩნიეს წიგნების თვალში საცემი ხარვეზები რედაქტორად დასახელებულმა ჩვენმა საერთო მასწავლებელმა, ბრწყინვალე ისტორიკოსმა და ინტელიგენტმა პროფესორმა გივი ჟორდანიამ ან რეცენზენტებმა — აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ალექსიძემ, აკადემიკოსმა გრ. გიორგაძემ, მეცნიერებათა დოქტორებმა მ. იმნაძემ და ი. ტაბაღუამ, პროფ. გ. მანჯგალაძემ. კიდევ უფრო გასაოცარია, რომ „სახელმძღვანელო" დაიბეჭდა თსუ ისტორიის ფაკულტეტის მეთოდური საბჭოსა და სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით.

ფანტასტიკური „მიღწევაა", რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში 1216-გვერდიანი „სრულფასოვანი" სახელმძღვანელოს დაწერა ერთმა ადამიანმა შეძლო — აზიისა და აფრიკის ქვეყნების უძველესი ისტორიიდან, ძველი საბერძნეთისა და რომის, ძველი საქართველოს, ბიზანტიის, ევროპის ყველა ქვეყნის უძველესი პერიოდიდან 1918 წლამდე (რატომ მაინცადამაინც 1918 წლამდე?!). მაგალითისთვის, იმავე წელს მოსკოვში გამოცემულ „მსოფლიო ისტორიის" დიდი ფორმატის 726-გვერდიან წიგნს, რომელიც რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, 14 ავტორი ჰყავს, აკადემიკოს გ. პოლიაკისა და პროფესორ ა. მარკოვას ხელმძღვანელობით.

მაგრამ თუ ი. ა. მუსსკის წიგნი, რომელიც თბილისში მხოლოდ ქუჩებში გამოფენილ რამდენიმე დახლზე იყიდებოდა და ამდენად, დიდად გახმაურებული არ იყო, პროფ. ა. მენთეშაშვილმა არ ითაკილა „დასესხებოდა" ერთ მეტად ცნობილ გამოცემას.

1959—1974 წლებში, მოსკოვში მეორე გამოცემით დაიბეჭდა 5-ტომიანი (6 წიგნად) „დიპლომატიის ისტორია", რომელმაც მოიცვა საერთაშორისო ურთიერთობათა და დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის 60-იან წლებამდე. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი უზარმაზარი მოცულობის ისტორიული ნაწარმოების შექმნა, რომელსაც წინ უსწრებდა ჯერ კიდევ 1940-იან წლებში გამოცემული სამტომიანი „დიპლომატიის ისტორია", წარმოუდგენელი იყო ერთი, თუნდაც ისეთი გენიალური ისტორიკოსის მიერ, როგორიც იყო ევროპული რანგის მეცნიერი (თუ გნებავთ, მსოფლიოსიც), განსვენებული აკადემიკოსი ევგენი ტარლე.

ორივე გამოცემის მომზადებაში მონაწილეობდნენ ისტორიული მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები ე. ა. კოსმინსკი, ს. დ. სკაზკინი, ვ. მ. ხვოსტოვი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ს. ვ. ბახრუშინი, ა. ვ. ეფიმოვი, პროფესორები ა. ლ. ნაროჩნიცკი, ს. ბ. კანი და სხვ.

ცხადია, რომ საბჭოურ პერიოდში მომზადებული ეს გიგანტური ნაშრომი საბჭოურივე იდეოლოგიის ჩარჩოებში იყო მოქცეული. მაგრამ ისტორიული მასალის სისტემური გადმოცემით, პირველწყაროებსა და სერიოზულ მონოგრაფიებზე დაფუძნებით მას დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა ანალოგი და დღესაც არ დაუკარგავს დიპლომატიის ისტორიკოსებისთვის სერიოზული მნიშვნელობა.

აი, სწორედ ამ ხუთტომეულის გადმოქართულებულ თავებთან გვაქვს საქმე 1216-გვერდიან „სახელმძღვანელოში", რომელიც გამოსვლისთანავე, 2001 წლის 20-26 აპრილის „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ რეცენზიაში „ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევად" (?!) შეამკეს ფილოლოგიის (?!) მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ კიკნაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ კუტალიამ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა გურამ აბესაძემ...

აქაც მხოლოდ რამდენიმე მაგალითი რუსული გამოცემის ქართულ „ორიგინალად" გამოყენებისა.

**"Âî ñòî÷íàÿ Ðèìñêàÿ èìïåðèÿ äîñòèãëà â öàðñòâîâàíèå Þ ñòèíèàíà íàèáîëüøåãî ìîãóùåñòâà. Åå äèïëîìàòè÷åñêèå ñâÿçè îõâàòûâàëè îãðîìíûå ïðîñòðàíñòâà îò Êèòàÿ è Èíäèè äî Àòëàíòè÷åñêîãî îêåàíà, îò âíóòðåííåé Àôðèêè äî ïðè÷åðíîìîðñêèõ Ñòåïåé. Þ ñòèíèàí óìåëî èñïîëüçîâàë èñêóññòâî äèïëîìàòè÷åñêîé èãðû ñ ñîâåðøåííî òî÷íûìè ðàñ÷åòàìè âîåííûõ ñèë, êîòîðûå áðîñàë íà çàïàä"** („დიპლომატიის ისტორია. ტ. I." მოსკოვი. 1959, გვ. 104).

**„იუსტინიანეს მმართველობის ხანაში აღმოსავლეთ რომის იმპერია ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდში ბიზანტიის დიპლომატიური კავშირი მოიცავდა დიდ სივრცეს დაწყებული ჩინეთიდან და ინდოეთიდან — ატლანტის (?) ოკეანემდე და შიდა აფრიკიდან — შავზღვისპირა სტეპებამდე. იუსტინიანე კარგად უთავსებდა ხელოვნურ დიპლომატიურ თამაშს ზუსტ სამხედრო დარტყმებს, რომლებიც იმპერიის ტერიტორიებს შორის, დასავლეთით აფართოებდნენ"** (ა. მენთეშაშვილი. ციტ. თხზ. I, გვ. 193).

**"Óæå ïàïà Ëåâ I ("Âåëèêèé" - 440-461 ãã) ïðèîáðåë íåîáû÷àéíûé àâòîðèòåò â Åâðîïå ñâîåé óìåëîé äèïëîìàòèåé. Åãî ïðîñëàâèëà óäà÷à â ïåðåãîâîðàõ ñ ñòðàøíûì Àòòèëîé, âòîðãøèìñÿ â Èòàëèþ â 452ã Âîéíû â ïðèìîðñêîé âîéñêè Àòòèëû è ïîõîä íà Ðèì ïðåêðàòèëñÿ. Öåðêîâíàÿ ëåãåíäà ïðåâîçíåñëà ýòîò ïîáåäîíîñíûé ìèð êàê ÷óäî è óêðàñèëà îáðàç ïàïû îðåîëîì ñâÿòîñòè"** (იქვე. გვ. 111-112).

**„უკვე პაპმა ლეო I დიდმა (440-461) თავისი წარმატებული დიპლომატიით ევროპაში არაჩვეულებრივი ავტორიტეტი მოიპოვა. მან სახელი გაითქვა განსაკუთრებით ატილასთან წარმატებული მოლაპარაკებებით, რომელიც 452 წელს ჩრდილო იტალიაში შეიჭრა... ჰუნების ზურგში ბიზანტიელების სამხედრო საშიშროებამ და მის მეომრებს შორის გავრცელებულმა ავადმყოფობამ ატილა აიძულა, შეტევა რომზე შეეჩერებინა და გამოსასყიდით დაკმაყოფილებულიყო. საეკლესიო ლეგენდამ ეს ფაქტი სასწაულად მონათლა, ხოლო პაპის სახე წმინდანობის შარავანდედით შემოსა"** (ა. მენთეშაშვილი. ციტ. თხზ. I, გვ. 199).

სრული აღრევაა მთელ „სახელმძღვანელოში" უცხოელ სახელმწიფოთა მოღვაწეების და რომის პაპების სახელებისა და გვარებისა — რა თქმა უნდა, რუსული ორიგინალების გავლენით.

პატივცემულ ავტორს ავიწყდება, მაგალითად, რომ მის უწმინდესობა ჯოვანი პაოლო II-მდე (კაროლ ვოიტილა) რომის პაპები, ძირითადად, იტალიელები იყვნენ ხოლმე და, ცხადია, იტალიური სახელებით ვიცნობდით. წარმოუდგენელია, მაგალითად, რომ ერთ-ერთი უძლიერესი პაპი „ინოკენტი" ყოფილიყო (რუსული „Èííîêåíòèé"-ის გავლენით), მეორე ასევე გავლენიანი პაპი ლეო (რუსული „Ëåâ" — ლომის გავლენით), ხოლო პაპი — რუსულად „Ãðèãîðèé I" იმერელ აზნაურ „გრიგოლად" გადაქცეულიყო (სეფისკვერაძედ ხომ არა?).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ყველა ცნობილი უცხოელის სახელი და გვარი უნდა ითარგმნოს იმ ენის ფონეტიკური ჟღერადობით, რომელი ქვეყნისა თუ ერის წარმომადგენლებიც ისინი იყვნენ. სხვათა შორის, ასე გვმოძღვრავდა პროფესორი გივი ჟორდანია, როცა მისი ხელმძღვანელობით „ქართული ენციკლოპედიის" ისტორიულ სიტყვანზე ვმუშაობდით.

ამდენად, რომის პაპები შეიძლება იყვნენ „ინოჩენცო", „ლეონე" და „გრეგორიო" და სხვ. ყოველ შემთხვევაში არა ისე, როგორც ეს მოგვეპრიანება რუსულის გავლენით! (თუ პირდაპირ გადმოთარგმნით?)

ასევე შეუძლებელია, განათლებულმა ისტორიკოსმა არ იცოდეს, რომ ფრანკთა სამეფო გერმანული ტომის — ფრანკების საუფლო იყო და არა ესპანელებისა. ამიტომ ამ სამეფოს „მაიორდომები" და შემდეგ მეფეები არ შეიძლება „კარლოსები" ყოფილიყვნენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „კარლ მარტელი" და „კარლ დიდი"!

ყველაფერი ამგვარი კი, ბოლოს და ბოლოს, დაგვირგვინდება საკრამენტალური ცნობით, რომელიც სასაცილო იქნებოდა, ცრემლდასაღვრელი რომ არ იყოს: თურმე XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში „...რუსეთის ტახტზე ავიდა ყოფილი იმპერატორის პეტრე III ქვრივი ეკატერინე ალექსის ასული, ყოფილი სოფია ფონ ანჰალტ-ცერბსტსკაია (??) — გამეფების შემდეგ — „იმპერატრიცა ეკატერინე II (??)" (იხ. „სახელმძღვანელო", წიგნი I, გვ. 487). უპრიანი იქნებოდა ალბათ, რომ რაკიღა გერმანელი პრინცესა გავარუსეთ, ბარემ გამეფების სახელიც რუსული მიგვეცა — „ეკატერინა"!

დასასრულ, გავკადნიერდებით და პროფ. ა. მენთეშაშვილს (და მკითხველებსაც) შევახსენებთ, რომ პლაგიატორობა პატიოსან საქციელად, ალბათ, ვერ ჩაითვლება, რადგანაც „პლაგიატი" სხვა არაფერია, თუ არა „მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების დარგებში სხვისი ნაწარმოების ავტორობის განზრახ მითვისება მთლიანად ან ნაწილობრივ" („დიდი იურიდიული ლექსიკონი", მოსკოვი, 1998წ., გვ. 487), და მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით ექვემდებარება სამოქალაქო-უფლებრივ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

**კოტე ანთაძე,**
**პროფესორი,**
**ნოდარ კიკვაძე,**
**პროფესორი,**
**გივი ზოლოთაშვილი,**
**დოცენტი.**


# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს ბილეთის მოლარის თანამდებობებზე თანამშრომელთა რეზერვის შექმნის მიზნით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. ფოტოსურათი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
5. საკონტაქტო ტელეფონი.

აუცილებელი პირობებია უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, კომპიუტერის ცოდნა, სასურველია უცხო ენის ცოდნა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 25 სექტემბრიდან 2005 წლის 10 ოქტომბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

**გორში: გორიჯვრის ქ. №19 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 7-71-97.**

**სამტრედიაში: თამარ მეფის ქ. №3 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-07-58, 56-07-62.**

**სენაკში: ჭავჭავაძის ქ. №70 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-02-22.**

**ზუგდიდში: ქუჯის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-01-61.**

**ფოთში: რეკვავას ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-00-82.**

**ქობულეთში: აღმაშენებლის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-16-11.**

**ბათუმში: მაზმიშვილის ქ. №5 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-15-56.**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ თბილისში შემდეგ ნომრებზე: **56-42-33, 56-58-62, 56-47-17.**

◎ „დგას მეციხოვნედ მარადისობა“

# ქსანზე, ქარჩოხის ციხესთან





**ქსნის ხეობის მიწისქვეშა მატერიალური კულტურის სიმდიდრეებს ჯეროვნად რომ ვერ ვპატრონობთ, უსახსრობის გამო არქეოლოგიურ გათხრებს რომ ვერ ვაწარმოებთ, ისევ ბუნება გვიმართავს ხელს — ჟამიდან ჟამზე მიწიდან თავისით „ამოხტებიან“ ხოლმე ჩვენი წარსულის კულტურის ნივთები, თითქოს გვეუბნებიან, მოდით, დაგვხედეთ, შემოიხედეთ ჩვენს კუთხე-კუნჭულებში, კიდევ ბევრი რამით განგაცვიფრებთო.**

მარი გათენაშვილი, ახალგორის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე, ქსანს გაღმა რომ ცხოვრობს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოვიდა — ხელში სათუთად გახვეული ნივთი ეკავა. მუზეუმის დირექტორი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ღუნაშვილი და მისი მოადგილე თემურ გიგაური ფრიად ნასიამოვნები დარჩნენ მოსწავლის სტუმრობით — მან მუზეუმში (როგორც შემდეგ გამოირკვა) დაახლოებით პირველი საუკუნის ძვირფასი ნაკეთობა — მრავალფიგურიანი ბრინჯაოს ბალთა მიიტანა.

— ნაკვეთი ცოტა ხნის წინათ მოვხანით, გუშინ დავფარცხეთ და მიწის ზედაპირზე აღმოვაჩინეთ, — თქვა მარი გათენაშვილმა.

ექსპოზიცია არა მარტო ამგვარი მოულოდნელი აღმოჩენებით, მუზეუმის მეცნიერი მუშაკების მიერ მოძიებული მატერიალური კულტურის ნიმუშებითაც მდიდრდება. ინტერესით ვათვალიერებთ სტენდებს, რომელიც ხეობის წარსულზე მოგვითხრობენ. დიდხანს ვჩერდებით ქსნის ბრძოლის (1625 წ.) ამსახველ სტენდთან. აქ, ქარჩოხის ციხესთან, გიორგი სააკაძის მიერ სპარსელებთან გადახდილი ომიდან ამ დღეებში 380 წელი შესრულდა და ჩვენც ქსნის ზემო წელში, ქარჩოხისკენ მივიჩქარით.

ახალგორის რაიონს და, კერძოდ, ქსნის ხეობას ყოველთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის განვითარების საქმეში. აქ ხალხი არასოდეს გატეხილა, ვინაიდან აქ მშრომელი ხალხი ცხოვრობს, რომელიც ერთიანი საქართველოს ჭირსა თუ ლხინს ყოველთვის გმირულად იზიარებდა და იზიარებს.

— სწორედ 380 წლის წინათ, 1625 წელს, — გვიამბობს მუზეუმის დირექტორი ვლადიმერ ღუნაშვილი, — დიდმა მოურავმა სამი ომი გადაიხადა, რომელმაც კავკასიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მარტყოფის ბრწყინვალედ მოგებულ ომს მარაბდაში უგუნურების მიერ გიორგი სააკაძისთვის თავსმოხვეული გეგმის წყალობით დამარცხება და სირცხვილი მოჰყვა. იმავე წელს საქართველოს სარდალმა ქსანზე, ქარჩოხთან, სპარსელებს მარაბდის „ანგარიში გაუსწორა“. ხეობის ვიწროებში მტერს ხაფანგი დაუგო, თერგის ხეობიდან, არშის ციხიდან უკან მობრუნებულ სპარსელთა 12-ათასკაციან ლაშქარს ქარჩოხთან 2500-მა ქართველმა გზა შეუკრა და სულ პირწმინდად ამოჟლიტა. როგორც მემატიანე წერს, მდინარე ქსანი რამდენიმე დღე წითლად დიოდაო.

ქარჩოხის ციხესთან გამართულ ბრძოლაში სულ რამდენიმე ყიზილბაში თუ გადარჩენილა, ირანელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობით, მათთვის სიცოცხლე გიორგი სააკაძეს უჩუქებია — სპარსეთში ყოფნის დროს მათთან ტაბლაზე მდგარა და პურმარილის მადლი შეინახაო.

ქსნის ხეობას მაღლა მივუყვებით და მდინარეც უფრო და უფრო ლურჯი და გამჭვირვალეა. შემოდგომის მობრძანება ხეობაში უფრო საცნაური ხდება. გზა-ბილიკები ფერადი ფოთლებითაა მოფენილი, გზადაგზა — კუნელი, ასკილი, ტყისპირებში კი ტყემალი, პანტა და კოწახური. ქსანს გაღმა სათიბებში თივის ჯაურები წამოსკუპებულან და პატრონს ელოდებიან, როდის ჩაიტანენ ქვემოთ. ადრე გზად ზამთრის საძოვრებისკენ მიმავალი ცხვარი შემოგხვდებოდათ — ახლა სადღაა. გზები დაცარიელებულა, ხანდახან ვინმე ცხენოსანი თუ ჩაგიქროლებს, ეგ არის და ეგ. ციხეები და ეკლესია-მონასტრები ქსნის ორივე მხარეს წამომართულან. ქსანგაღმა წირქოლის ციხე და ლარგვისის მონასტერია. აგერ, ქარჩოხიც, შუა საუკუნეებში ქსნის ზემოთში კლდოვან კონცხზე რომ აუშენებიათ, რომელიც გიორგი სააკაძემ აქ გამართული ბრძოლით სამარადჟამოდ უკვდავყო.

დღეს ამ ბრძოლის 380 წლისთავია და დიახაც ეზეიმებათ მთიელებსაც და ბარელებსაც, დიდს და პატარას — მთელ საქართველოს, და მთელი საქართველო ამოსულა ქარჩოხში, რომ პატივი მიაგოს გმირი წინაპრების ხსოვნას.

სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, მხატვარმა, ქსნისხეობელმა ნიკო ხერკელაძემ და ქანდაკების სახელოსნოს გამგემ ნოდარ ფოფხაძემ კასტელის მიერ შესრულებული გიორგი სააკაძის პორტრეტის მიხედვით შექმნეს ბარელიეფი, რომელზეც პორტრეტის ფონი, სიმბოლურად საქართველოს ფარი და მახვილია. ამავე აკადემიის პროფესორმა, კერამიკოსმა ოთარ მუხიგულმა დაამზადა სამახსოვრო ფიალები და მედალიონები დიდი მოურავის გამოსახულებით.

საოცარია, ბარში როცა ბავშვი ველოსიპედით სიარულს სწავლობს, აქ უკვე ცხენებს დააჭენებენ გოგო-ბიჭები. აგერ ნინო ტატუნაშვილმა ცხენი ჯიქურ შეაგდო მდინარეში, დოღი იწყება და გოგონამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ხეობელ მოჯირითეებთან პაექრობაში.

სამკილომეტრიანი დოღი ქსნის ნაპირის გაყოლებით გაიმართა და ამ მხარეში ცნობილმა ჭაბუკმა სოსო მიდელაშვილმა გაიმარჯვა. მარტო მას კი არა, შეჯიბრების ყველა მონაწილეს გადასცეს ფასიანი საჩუქრები.

ესტრადაზე ერთმანეთს ენაცვლებიან ახალგორის №1 და ბალაანის საშუალო სკოლის ნორჩი დეკლამატორები, მომღერლები და მოცეკვავეები. არემარეს ქრუანტელად უვლის ახალგორის ფოლკლორული ანსამბლ „ლომისის“ მიერ შესრულებული სიმღერის ჰანგები.



მოზეიმეთ დღესასწაული მიულოცეს და სიტყვით მიმართეს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ვასილ მაღლაფერიძემ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და წვეულმა სტუმრებმა.

ამ ზეიმს დიდი ამაგი დასდეს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ცეზარ ჩოჩელმა, ახალგორის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა, მისმა მოადგილეებმა, ისტორიკოსებმა ვალერიან ხოცუაშვილმა, ალექსანდრე პავლიაშვილმა, ვიტალი ქენქაძემ და სხვ.

დღესასწაული დასრულდა სპორტული შეჯიბრებით, გაიმართა ჭიდაობა, შერკინება მკლავჭიდში, რომლებშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ დუშეთის, კასპისა და მცხეთის რაიონების ფალავნები.

მხოლოდ გვიან საღამოს დაიძრა ხალხი ბარისკენ. ძრავების გუგუნი გაისმა და ქსნის დაყოლებით მსუბუქი ავტომანქანებისა და ავტობუსების შუქანთებული ქარავანი გაიჭიმა.

**ბელა დურგლიშვილი,**
**გურამ ვაშაკიძე.**



**სურათებზე: ქარჩოხის ციხე; ნორჩი მხედარი ნინო ტატუნაშვილი; ჭიდაობას რა უნდა.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ფეხბურთი

## ფერო „ბორჯომმა“ გაფილტრა

**თბილისის „დინამოს“ მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოცხადებულ ომს გაგრძელება გუშინ უნდა მოჰყოლოდა — XVII ეროვნული ჩემპიონატის VI ტურის ცენტრალურ მატჩში სფფ-ს „ყოჩი“ „ზესტაფონი“ დედაქალაქის „ოლიმპის“ სტადიონზე „ბორჯომს“ სტუმრობდა, რომელსაც საკუთარი სარბიელის რეკონსტრუქცია საკმაოდ გაუჭიანურდა (ბედი არ გინდა? — საქვეყნოდ განთქმულ კურორტზე აქამდე ყველაფერი სტახანოვურ ტემპებში განაახლეს...).**



ტრიბუნებზე მრავლად ნახავდით გათამაშების დანარჩენ ფავორიტთა წარმომადგენლებს, შესვენების შემდეგ ბორჯომელთა მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილიც გამოჩნდა. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა — დაესვა წერტილი ფეროელთა ლობირებას ფედერაციის მხრიდან თუ ტაქტიკურ პაუზას ექნებოდა ადგილი.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს — ამჯერად ყველაფერი „ფეირ-პლეის“ პრინციპების შესაბამისად წარიმართა, რასაც ხელი ახალგაზრდა მსაჯმა — მაისურაძემაც შეუწყო, არადა, შეხვედრის წინ ბევრ აქცენტს იმ ფაქტზე აკეთებდა, რომ ბორჯომელთა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მეტოქის თავკაცმა თემურ მახარაძემ დააფრთიანა. მიხვდით, ალბათ, რასაც გულისხმობდნენ გულშემატკივარნი.

საბედნიეროდ, პატიოსანი ბრძოლა ბოლომდე არ შეწყვეტილა და „ბორჯომის“ დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა — 1:0 (გოლი აფციაურმა გაიტანა).

გუშინვე „თბილისმა“ ზედიზედ მეექვსე მარცხი „სპარტაკისგან“ იწვნია — 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სიონი“ — 16, „ბორჯომი“ — 15, „ლოკომოტივი“ — 14 ქულა.

VII ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისის „დინამოსა“ და „ბორჯომის“ მატჩი, რომელიც 24 სექტემბერს გაიმართება.

გუშინვე გამოვლინდა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნულით თასის გათამაშების კიდევ ერთი მეთექვსმეტედფინალისტი — ესაა „ამერი“, რომელმაც აგარაში საპასუხო შეხვედრა 4:1 მოუგო „მეშაქრეს“ (პირველი თამაში — 1:2). 3 გოლი დავითაშვილმა გაიტანა.

**გია პლატონიშვილი**

◎ სამბო

## მედლებიც, დოლარებიც...

**მოსკოვში, სახელოვანი რუსი ფალავნის ივან იარიგინის სახელობის სპორტის სასახლეში, დასრულდა გადამდგარი გენერალ-მაიორის, ყოფილი სამბისტის ასლამბეკ ასლახანოვის IV საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 ქვეყნის 220 მოჭიდავე მონაწილეობდა, მათ შორის ტიტულოვანი სამბისტებიც იყვნენ.**

შეჯიბრების ოქროს მედალი და 2000 დოლარი მოიპოვა თბილისელმა მინდია ბოდაველმა (90 კგ), რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. ვერცხლის მედლები და 1500-1500 დოლარი ხვდათ ხაშურელ მსოფლიო ჩემპიონს გელა ბარათაშვილსა (57 კგ) და რუსთაველ მძიმეწონოსანს ზვიად ჩინჩალაძეს. საგარეჯოელი უშანგ კუზანაშვილი (52 კგ), მცხეთელი მირიან პავლიაშვილი (82 კგ) და გორელი ნიკო ბიბილაშვილი (100 კგ) ბრინჯაოს მედლებს და 1000-1000 დოლარს დასჯერდნენ.

28-30 სექტემბერს თბილისში სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, რომლის შედეგებითაც საბოლოოდ დაკომპლექტდება როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდებისა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. მსოფლიო პირველობას 10-17 ოქტომბერს სალონიკი (საბერძნეთი) უმასპინძლებს, მსოფლიო ჩემპიონატი კი 12-17 ნოემბერს ასტანაში (ყაზახეთი) გაიმართება.

**შალვა ქირია**





**სურათებზე: საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე; მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ჩოგბურთი

## გაზაფხული ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა

**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტები კვირაზე მეტია მასპინძლობს ქალთა საერთაშორისო ტურნირებს, რომლებშიც 15 ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობს. როგორც გაუწყეთ, „ბორჯომის თასის“ გათამაშება (10-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით) ქართველ ჩოგბურთელთა ტრიუმფით დამთავრდა — პირველ-მეორე ადგილებზე მაკა ჩახნაშვილი და მანანა შაფაქიძე გავიდნენ. ორშაბათს „ქართუ ბანკის“ ტრადიციული ტურნირი დაიწყო 25-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით.**

**გვესაუბრება საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი.**

— **ბედნიერი** ვარ, რომ ცხრაწლიანი გარჯა დამიფასდა — კვირას „ბორჯომის თასზე“ ქართული ფინალი ვიხილეთ. წლების განმავლობაში ბევრი საყვედური მესმოდა, ფული უმიზნოდ იხარჯება, რადგან ჩვენს ტურნირებზე მხოლოდ უცხოელები იმარჯვებენო. მჯეროდა და დღესაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არ შევმცდარვართ, თბილისურ საერთაშორსო შეჯიბრებებზე, შეძლებისდაგვარად, ძლიერ უცხოელ ჩოგბურთელებს რომ ვიწვევდით. ჩვენი სპორტსმენები გამოიწვრთნენ მათთან პაექრობაში. რადგან საზღვარგარეთ ვერ ახერხებენ გასვლას, აქ მაინც მიიღონ გამოცდილება, მით უმეტეს, რომ ყოველწლიურ საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში ბევრ ახალგაზრდა ქართველ ჩოგბურთელს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის საშუალება, მათ აშკარად ეტყობათ წინსვლა.

შეიძლება, ცუდი პარალელია, მაგრამ მაინც გეტყვით — შარშანწინ „კრემლის თასის“ გათამაშების მეცხრე წელიწადს პირველად რუსმა ანასტასია მისკინამ რომ გაიმარჯვა, ვირწმუნე, რომ ჩვენს ქუჩაზეც დადგებოდა გაზაფხული. მადლობა მაკა ჩახნაშვილს, რომელმაც, სკეპტიკოსთა აზრის საპირისპიროდ, ოცნება აგვიხდინა. ალალია მასზე ის 1600 დოლარი. რაც შეეხება მანანა შაფაქიძეს, ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე პატარა მონაწილეს, მისი ფინალში გასვლა და 980 დოლარის დამსახურება გმირობის ტოლფასია. ამ წარმატებით მან საგრძნობლად აიმაღლა რეიტინგი და თანაქალაქელებმაც გაიცნეს. 16 წლის გოგონასთვის ეს ბევრს ნიშნავს.



მოგეხსენებათ, თბილისის ტურნირებს დაემთხვა ევროპის პირველობა, რომელშიც მანანა შაფაქიძესაც უნდა ესასპარეზა. საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ლალი ზერეკიძის ინიციატივითა და მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მანანამ „ბორჯომის თასზე“ მოსინჯა ძალები, მით უმეტეს, რომ გაისად უკვე თვრამეტწლიანებში ითამაშებს და თექვსმეტწლიანებში მოგროვებული ქულები არაფერში გამოადგებოდა. იგი ბათუმის საერთაშორისო ტურნირსა და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც გამოვა. ჩვენი ფედერაციის მთავარი სპონსორი „კოკა-კოლა“ გაგვიწევს მატერიალურ მხარდაჭერას. ჩემპიონი 750 დოლარს მიიღებს, მეორე-მესამე ადგილებზე გასულები, შესაბამისად, 500 და 250 დოლარით დაჯილდოვდებიან.

სპონსორებზე რადგან ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ იმასაც ვიტყვი, ვისი ხელშეწყობითაც გახდა შესაძლებელი თბილისის ტურნირების გამართვა. ესენი არიან მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, „ქართუ ბანკი“, „კოკა-კოლა“, ავსტრიის ავიახაზები. ბათუმის საერთაშორისო ტურნირის გასამართავად (50-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით) დიდად გვიწყობს ხელს აჭარის ხელისუფლება და, კერძოდ, ბატონი ლევან ვარშალომიძე, ასევე, ბათუმის ნავთობის ტერმინალი, სადაზღვევო კომპანია „ევროპეისი“ და „ჯეოსელი“, დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა.

ქვეყანა ნელ-ნელა ფეხზე დგება. სპონსორებიც მოგვიმრავლდნენ. მათი მხარდაჭერით ჩვენი ჩოგბურთელები მალე უცხოეთში გვასახელებენ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

◎ სპორტულ ორბიტაზე

### მსხვერპლს ვერ გადაურჩა

**როგორც კარდიფიდან (ინგლისი) იტყობინებიან, რალიში მსოფლიო ჩემპიონატის მე-12 ეტაპის ფინიში მსხვერპლით დამთავრდა. ავარიაში დაიღუპა 39 წლის ბრიტანელი შტურმანი მაიკლ პარკი, რომელიც ბოლო ოთხი წელი ცნობილი ესტონელი პილოტის მარკო მარტინის შტურმანი იყო, იქამდე კი მსოფლიო ჩემპიონატში რიჩარდ ბერნსთან და კოლინ მაკრზემთან გამოდიოდა.**

იგი მე-15 სპეციალურ მონაკვეთზე დაიღუპა, როდესაც მარტინის „პეჟო“ ტრასიდან გამოვარდა და მარჯვენა გვერდით ხეს შეასკდა. პილოტი არ დაზარალებულა. რალის ორგანიზატორებმა მე-16 და მე-17 სპეცმონაკვეთები გააუქმეს.



### მარათონული სირბილი სახიფათოა

**გარბენის „გრეიტ ნორტ რანის“ დროს, რომელიც ჩრდილოეთ ინგლისში, ქალაქების ნიუკასლსა და სამხრეთ შილდსის შორის მიმდინარეობდა, ერთბაშად ამ ნახევარმარათონის (21 კმ) ოთხი მონაწილე გარდაიცვალა. აქედან ორი ფინიშის წინ.**

ეს ნახევარმარათონი მსოფლიოში ყველაზე მასობრივად ითვლება და გასაკვირიც არაა, რომ სტარტზე 50 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა. მათ შორის ბევრი არაპროფესიონალი იყო, რომლებმაც არ იცოდნენ თავიანთი შესაძლებლობანი.

მართალია, პრესამ თავდაპირველად გაავრცელა ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ. ზერსენაი ტადესემ დისტანცია 59 წუთსა და 5 წამში გაირბინა. ეს იყო სარეკორდო დრო ამ შეჯიბრების არსებობის ისტორიაში. შემდეგ კი უკვე სამწუხარო ამბებიც გამოჩნდა, რამაც ერთგვარად დაჩრდილა გამარჯვების სიხარული.

ამჟამად დგინდება მონაწილეთა სიკვდილის მიზეზი. როგორც ამბობენ, ეს იქნება გადაღლის გამო ან გულის გაჩერება, ანდა ტვინში სისხლის ჩაქცევა.

### მოკრივეს თილისმა მოპარეს



**ოსკარ დე ლა ჰოიას საპრომოუტერო კომპანიის მიერ ორგანიზებული შოუს „ჩემპიონების პარადის“ წინ, როცა უნდა გამართულიყო მარკო ანტონიო ბარერის, რომი პედენის, ბეინ მოზლისა და სხვათა ბრძოლები, სახელგანთქმულ მოკრივეს საფულე მოპარეს, რომელშიც ფულთან და საკრედიტო ბარათებთან ერთად იდო კვების ტალონი, რასაც ის ბავშვობიდან ინახავდა იმის საბუთად, თუ რა იყო ის ადრე.** „მუდამ სიამაყით ვაჩვენებდი ხოლმე იმას, ეს მუდამ მახსენებდა, თუ საიდან გამოვედი, ვინ ვარ და საით მივისწრაფი“, — ამბობს ის. მოკრივის თქმით, ეს ტალონი ხშირად ეხმარებოდა „დედამიწაზე დაბრუნებულიყო“; უზარმაზარ ჰონორარებს რომ ვღებულობდი და „ვარსკვლავთ ავადმყოფობისგან“ მიხსნიდა ხოლმე.

### ტელეარხების ბოსები დააინტერესა

**ამ ზაფხულს ნიდერლანდების ნაკრების მოთამაშე რაფაელ ვან დერ ვარტი „აიაქსიდან“ გერმანულ „ჰამბურგში“ გადავიდა. 22 წლის ფეხბურთელი გერმანიაში თავის დაქალთან, ცნობილ ტელეწამყვანსა და მსახიობ სილვია მეისთან ერთად ჩავიდა. მალე შეყვარებულები დაქორწინდნენ. სილვია კარგა ხანს ელოდა სამუშაოზე მიწვევას, თუმცა პრობლემას ენის უცოდინარობა უქმნიდა, ამიტომაც, მან სპეციალურად გერმანული ენაც შეისწავლა.**

სამშობლოში ის ნამდვილ ვარსკვლავად ითვლებოდა. თუმცა პატარა ქვეყანაში მას ეს არ აკმაყოფილებდა. ახლა 27 წლის ჰოლანდიელს გერმანული MTV-ს წამყვანობა შესთავაზეს. სექტემბრის ბოლოს გახდება ცნობილი, თუ რომელ პროგრამაზე მოუწევს მუშაობა.



◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით

## რაინდული სულის დიდოსტატი

**მსოფლიოს X ჩემპიონმა (1969-72), საერთაშორისო დიდოსტატმა (1955) და ჟურნალისტმა ბორის სპასკიმ (1937, ლენინგრადი) ჭადრაკის თამაში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში 5 წლისამ დაიწყო.**

1960-80-იან წლებში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირებში. 1965 წელს პრეტენდენტთა მეოთხედფინალი მატჩი მოუგო პაულ კერესს — 6:4, ნახევარფინალი — ეფიმ გელერს — 5,5: 2,5, ფინალი — მიხეილ ტალს — 6,5:3,5.



1966 წელს სპასკიმ ფინალური მატჩი წააგო მსოფლიო პირველობაზე ტ. პეტროსიანთან — 11,5:12,5, მაგრამ გამოავლინა მტკიცე ხასიათი და კვლავ წარმატებით ჩაება პრეტენდენტთა ტურნირებში, 1968 წელს დაამარცხა უშუალო კონკურენტები — ე. გელერი, ბ. ლარსენი, ვ. კორჩნოი და მეორედ მოიპოვა უფლება, მსოფლიო პირველობის ფინალი პეტროსიანთან ეთამაშა.

ეს მატჩი სპასკიმ 12,5:10,5 მოიგო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა.

1972 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რობერტ ფიშერი მატჩზე არ გამოცხადდა (ფინანსური მოთხოვნების გამო), ფიდემ, წესდების შესაბამისად, გადაწყვიტა, მსოფლიო ჩემპიონად სპასკი გამოეცხადებინა. რაინდული სულის დიდოსტატმა ეს „საჩუქარი“ არ მიიღო და საერთაშორისო ფედერაციას მატჩის გადარჩენისკენ მოუწოდა. მართალია, სპასკიმ წააგო ეს მატჩი — 8,5:12,5, მაგრამ თავისი საქციელით წარუშლელი კვალი დატოვა ჭადრაკის ისტორიაში.

**თამაზ შენგელია**

**სპასკი — პეტროსიანი**
**1969 წ.**



თეთრები იგებენ!

შავების ყოველგვარი მცდელობა პარტიის გადასარჩენად უშედეგოა.

**1. e5!! de 2. მe4! მh5 (2. .. მe4 3. ეf8 ეf8 4. ლg7 2. .... ed 3. მf6 g5 4. ლh3 ეe7 5. ეg5 კg7 6. ეg7+) 3. ლg6! ed (3. ... მf4 4. ეf4! ef 5. c3! კb3 c2, მe4 f6+) 4. მg5! (... hg 5. ლh5 მფg7 6. ლf7 მფh8 7. ეf3+) 1:0.**

1976 წლიდან ბორის სპასკი საფრანგეთში ცხოვრობს და ამ ქვეყნის სახელით ოლიმპიადებზე ორჯერ იასპარეზა.

◎ ხიფათი

## მზე გამუქდა

**ჩვენს მნათობზე გიგანტური შავი ლაქა წარმოიქმნა, რომელიც დედამიწას პლაზმის ნაკადებს აფრქვევს.**

უახლოეს დღეებში სწავლულები მძლავრი ენერგეტიკული დარტყმების სერიას მოელიან. ასეთ დარტყმებს ძალუძთ დარღვევების გამოწვევა ელექტრონული მოწყობილების, მობილური ტელეფონებისა და თანამგზავრების მუშაობაში.

უსიამოვნებანი მზეზე წარმოშობილი უზარმაზარი შავი ლაქისგან მოდის, რომელიც განზომილებებით ხუთჯერ აღემატება დედამიწას. 7 სექტემბრიდან მნათობი პლაზმას „იფურთხება“ და რენტგენის სხივებს გვიშენს. უკვე „შედგა“ შვიდი დიდი ამონაგდები, მაგრამ მეცნიერები კიდევ უფრო ძლიერი ამოფრქვევების სერიას გვიწინასწარმეტყველებენ. ამასაც გვატყობინებენ: ლაქა მზის ზედაპირის გასწვრივ ისე მოძრაობს, რომ განუწყვეტლივ იმყოფება დედამიწისკენ მიმართულ სექტორში.

რადიაცია ჩვენს პლანეტამდე ასე 9 წუთში აღწევს.



◎ რას წერენ ჩვენზე

## „საძოვარი“ საქართველოს საზღვართან

**შამილ ბასაევის თავი 10 მილიონ დოლარად არის შეფასებული — რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დაპირებით. აქამდე კი ის არამცთუ მოკლული, შეპყრობილიც არ არის. ნუთუ თანხა ეცოტავებათ ან ასეთი ფულის შოვნის მსურველი არ გამოჩნდა?**

ბოლო ხანს ეს ომბოხიანი მეამბოხე და „მოუხელთებელი შურისმაძიებელი“ სულ უფრო ხშირად „ძოვს“ საქართველოსთან საზღვრის სიახლოვეს. არის ცნობები, რომ ფეხის ამპუტაციის შემდეგ მის საყვარელ გადაადგილების საშუალებად ცხენი და იაპონური გზისამძლევი იქცა.

**ჰო, მაგრამ როგორ მოახერხა, ამას წინათ, რადიო „სვობოდას“ კორესპონდენტმა, ამერიკული ტელეარხით ნაჩვენები ინტერვიუს აღება ბასაევისგან?**

ეს ინტერვიუ ჩაწერილია ქართულ ტერიტორიაზე (ჩეჩნეთის საზღვრიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში). „ოპერაცია“ ჩატარდა არცთუ საქართველოს სპეცსამსახურების მხარდაუჭერლად, რაც სრულიად ნათელია. ჩეჩენი ტერორისტებისადმი სიმპათიებით დიდი ხნის ცნობილი კორესპონდენტი სავსებით ლეგალურად ჩაფრინდა თბილისში ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის დედაქალაქიდან. შემდეგ მას მისცეს ოპერატორთან ერთად საზღვრამდე მიღწევის შესაძლებლობა, სადაც ბასაევი ელოდა, მცველებით გარშემორტყმული.



დასანანია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა ეს ინტერვიუ დასრულებიდან ოთხიოდ საათის შემდეგ შეიტყვეს. საქართველოში მომუშავე რუსეთელი აგენტებისგან რომ ინფორმაცია დროზე შემოსულიყო, შეიძლებოდა ნომერ პირველი ბანდიტისა და მისი მოსაუბრისთვის წერტილოვანი სარაკეტო დარტყმის მიყენება (გაერთიანებული ჯარების ჯგუფის სარდლობას აქვს შესაბამისი სანქციები რფის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისგან).

**რედაქციის შენიშვნა:** სწორედ ასეთი დარტყმით განგმირეს ჯოჰარ დუდაევი...

„Комсомольская Правда“.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 220, ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2005 წელი.

## ალბომი

### ყველას რამე აქვს სახსოვარი



ბიძაშვილები მართა და შაქრო ჯაჭვაძეები ნათესავებთან ერთად.

ფოტო მოგვაწოდა ლელა შათირიშვილმა.

## ◉ რიდებით გიგზავნი ამ წიგნს...

# «კარგი შვილები წაუგებელი ბიზნესია»

**... წიგნი, რომლის მიმოხილვასაც ვაპირებ, გამოჩენილი ქართველი მსახიობის, დღესაც უმშვენიერესი ქალბატონის ლიანა ასათიანის შემოქმედებასა და მის ლამაზ ოჯახს ეძღვნება, მაგრამ მას გამოცანისებური სათაური აქვს – „წუხილი სასწაულისა“**... თითქოსდა არაფერი უნდა აწუხებდეს ღვთითკურთხეულ ოჯახის დედას, მაგრამ ეს საწუხარი, უპირველეს ყოვლისა, წუთისოფლის წარმავლობაა, მან ხომ უერთგულესი მეგობარი და ჩინებული შემოქმედი დაკარგა – დავით თორაძე, რომელსაც ნაცნობი თუ უცნობი სიყვარულით გუგული თორაძედ მოიხსენიებდა...

რაკი ქალბატონ ლიანაზე წიგნის შექმნას მოჰკიდებია ეთერ ავაზაშვილი-მაცხონაშვილისა, ცხადია, მარტოოდენ მასზე წერას არ დაჯერდებოდა, – მთელ ოჯახს შეხებია, – აბა როგორ არ ეთქვა კეთილი სიტყვა ჯერ მამაზე, მერე კი ვაჟზე – ლექსო თორაძეზე – საქვეყნოდ ცნობილ პიანისტზე, ასე რომ, მის ხელთ ზღვა მასალა აღმოჩნდა, – თუმცა ქალბატონი ლიანა მიმხელს, ყველაფერი ვერ მივაწოდე, რადგანაც მე თვითონ ვწერ მოგონებებსო, – ამიტომაც სიმარტოვეში ის მარტო აღარც არის, – მეუღლესაც ესაუბრება ხოლმე და შორი-შორს მყოფი მისი ქალ-ვაჟიც –ლექსო და ნინო, შვილიშვილები ნინი, დავითი და ალექსანდრეც თითქოს აქვე არიან, ამ სახლში, რომელიც გაჯერებულია მუსიკის ჯადოსნური ჰანგებით...

წიგნი დაისტამბა გამომცემლობა „ლეგას“ სტამბაში და ახლავს ავტორის მობოდიშება:

„მეკრძალება ამ წიგნის ავტორად ვცნო თავი, რამეთუ, აქ ნათქვამი ბევრი ლამაზი და აზრიანი ფრაზა ჩემგან არ თქმულა, იგი ეკუთვნის უცხოეთის და ადგილობრივ პრესას, მე იგი მხოლოდ გავიმეორე“...

და მაინც, ბოლოში დასძენს: – შეგნებულად ავუარე გვერდი ბევრ საინტერესო ჩანაწერს და მიუხედავად ამისა, სულმა წამძლია, როცა „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2000 წ. 27-28 აპრილი) ცნობილი ჟურნალისტის ვილენ მარდალეიშვილის წერილი წავიკითხე ლიანა ასათიანზე – „ჩემი ამაყი მარტოობა“; კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო ტყუილად ხომ არ უთქვამთ!...

ჰოდა, იმ წერილიდან ამონარიდით – რეჟისორ რეზო ესაძესთან გასაუბრებით მთავრდება ეს წიგნი, მაგრამ არა ამბავი შემოქმედისა, რომელსაც „ჭერის“ გარდა, ალბათ სხვა საინტერესო სამუშაოც ელის – რეზო ესაძის ფილმში კი იგი დედის როლს ასრულებს – დღესდღეობით ლიანა ასათიანისთვის დედის როლი – უმთავრესი როლია! – ქალბატონ ლიანას უთქვამს, – „ქართველი ქალის ფენომენი ამოუწურავია. ეს ფენომენი რომ არა, არც საქართველო იარსებებდაო“.

... ახლა ერთი პატარა ლირიკული გადახვევა მინდა გავაკეთო. შენახული მაქვს ბატონ გუგული თორაძის წერილი, რომელიც მისი და ლექსოს ერთ-ერთი საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ გამოუგზავნია ჩემთვის გამოხმაურებებთან ერთად. გამოხმაურება, ცხადია, დაიბეჭდა – ეს თავაზიანი წერილი კი სახსოვრად შევინახე:

**„ჩემო ძვირფასო ქალბატონო ნანა!**

გიგზავნით პრესას ლიუბლიანადან, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენი კონცერტის მეორე დღეს.

რასაკვირველია ეს მცირე ნაწილია იმ გამოძახილების, რომელიც თავს დაგვატყდა კონცერტის შემდეგ.

დამატებით მოგართმევთ პროგრამა-ანოტაციას ცნობისათვის მხოლოდ (პირადად თქვენ).

ბოდიშს ვიხდი, რომ თავად არ გეახელით.

თუ არ შეწუხდებით, შეინახეთ ეს მასალა, რომ მქონდეს უფლება შეგაწუხოთ, მოვიდე თქვენთან ცოტა ხნით დრო წაგართვათ.

ულრმესი პატივისცემით
მუდამ თქვენი

**დავ. თორაძე**

29.IV.83 წელი.

... ანოტაციაში კი წერია, რომ სლოვენიის ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შესრულდა როგორც რუსული კლასიკის (მუსორგსკი, პროკოფიევი) ნიმუშები, ასევე დ. თორაძის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (დირიჟორი უროშ ლაიოვიჩი). თვით დავით თორაძის ნაწარმოებს კი მამის გულის გასახარად ლექსო ასრულებდა! (მითითებულია ეს ფაქტი, რომ კომპოზიტორი დავით თორაძე მამაა ჩვენთვის კარგად ცნობილი და საყვარელი პიანისტის,




ალექსანდრე თორაძისა, ჩამოთვლილია მისი ქმნილებები და ხაზგასმულია, რომ ქართველი კომპოზიტორის შემოქმედება ეფუძნება როგორც მდიდარ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს, ამავე დროს ევროპულ ტრადიციებსაც და რომ ის თავისთავადი და შთამბეჭდავია.

აღნიშნულია ესეც: ბოლო ხანს შექმნილი ეს საფორტეპიანო კონცერტი დაწერილია უშუალოდ ახალგაზრდა ვირტუოზი პიანისტის ალექსანდრე თორაძისათვის, რომელმაც თავი გამოიჩინა 1975 წელს იტალიაში, 1977 წელს კი ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

– ორივე თორაძის სტუმრობა თვალსაჩინო მოვლენაა სლოვენიის კულტურაში – წერია იქვე!

დავუბრუნდეთ წიგნს; ავტორი ფრთხილად, დიდი სიყვარულით შედის მსახიობი ქალის სამყაროში, მოწიწებით ესაუბრება, მოწიწებით ათვალიერებს ყველაფერს, შედის, როგორც „ტაძარში“.

„აქ ზედმეტობას არც ერთი ნივთი არ წარმოადგენს... და თუ დაჰკვირვებიხართ, დროთა განმავლობაში როგორ ემსგავსებიან ერთმანეთს ოჯახის წევრები და მასში განლაგებული ნივთები, ასეა, ამ მყუდრო სავანეშიც, რომელშიც დედოფალი ლიანა ასათიანი ცხოვრობს“.

მერე... გულახდილი საუბარი სიყვარულზე, ოჯახზე, დედა-შვილურ მოვალეობაზე, და რა თქმა უნდა როლებზე, რომლითაც გულისგულამდე შეაყვარა თავი მაყურებელს ლიანა ასათიანმა და რომლისთვისაც გამორჩეული როლი თავადის ქალი მაია ყოფილა.

ავტორი ეკითხება მას – ბედნიერად თუ მიაჩნია თავი? – ამ შეკითხვაზე ალბათ ძნელია ბოლომდე გულახდილი, გნებავთ უცაბედი პასუხი... ქალბატონი ლიანას პასუხიც ფიქრის ნაყოფია:

– „ძალიან ბედნიერი ვარ, შეიძლება კინოხელოვნებაში მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ რაც მთავარია, კარგი შვილები აღვზარდე და კარგი შვილები წაუგებელი ბიზნესია“.

... საინტერესოა ასეთ ხელოვანთან შეხვედრა!... წერილის სათაურად კი მისივე სიტყვები გამოვიყენე...

**ნანა ღვინეფაძე**
**2005 წლის**
**ენკენისთვის 15.**

## ◉ გვემრავლოს!

# დედისერთა არ იქნება

ოჯახის შვილთა სიმრავლე რომ გახარებთ, ამას თქვენი გაზეთიდან ვიგებ. მე დედისერთა გავიზარდე... თვითონ კი სამი ვაჟიშვილი გავზარდე. მახსოვს, ჩემმა ქმარმა სამივე ბიჭს პატარა თოხები შეუძინა და გვერდში



ამოიყენა. მათ სიმინდის ყანა თუ ვენახი როგორ გათოხნეს ვერ გეტყვით, მაგრამ მამის დიდი თოხის გვერდით ყოველთვის ჩემი ბიჭების პატარა თოხებიც ეწყო. ის კი მახსოვს, შვილები შრომას ბავშვობიდან მივაჩიეთ, შვილიშვილებსაც ასე გავზრდით.

ჩემი ორი ვაჟი ცალკე დასახლდა, ყველაზე უმცროსი გოდერძი კი ჩემთან დავიტოვე. გოდერძიმ ცოლი შეირთო და ერთი წლის შემდეგ მისმა მეუღლემ შვილიშვილიც შემძინა – დაიბადა ვაჟი. გოდერძი და ციალა ახალგაზრდები არიან, ვიცი, დედისერთა შვილის ამარა არ დარჩებიან.

**თამარ კოზახიძე,**
**ზესტაფონი.**

## ◉ ცოტაც გავიღიმოთ...

**ისე** არაფერი ადიდებს ქალის მკერდს, როგორც მამაკაცის წარმოსახვა.

* * *

– **იცით** რა, თქვენი ხველა ძალზე არ მომწონს.

– მაპატიე, ექიმო, უკეთესად არ შემიძლია.

* * *

– **მიხო**, სკოლაში ყველაზე მეტად რომელი საგანი მოგწონს?

– ჩვენი დირექტორის მობილური!

* * *

„**ახალი** ქართველი“ ეგვიპტეში მუზეუმს ეწვია.

– ამ ურნაში, თქვენს წინ რომ დგას, ამბობს ექსკურსიამძღოლი, – ფარაონის ფერფლია.

– ნახე, მაგ ოხერს რამდენი მოუწევია.

* * *

**ქიმიკოსი** მამა მეგობრებთან ტრაბახობს:

– გუშინ ჩემმა ბიჭმა პირველი სიტყვა თქვა.

– რომელი: დედა? მამა? მომე?

– იზოპროპილფორმეთილფოსფატი!

* * *

**ექიმი** ურჩევს:

– თუ ვერ იძინებთ, დალიეთ ერთი ჭიქა კონიაკი, თუ ესეც არ გიშველით, კიდევ ერთი დალიეთ, ხუთი წუთის შემდეგ კი – კიდევ ერთი.

– მაგრამ თუ ესეც არ მიშველის?

– მაშინ უკვე თქვენთვის სულ ერთი იქნება, გეძინებათ თუ არა.



* * *

– **თქვენს** ქმარს სრული სიმშვიდე სჭირდება, – ამბობს ექიმი, – აი ძილის წამლის რეცეპტი.

– კი მაგრამ როდის დავალევინო, ექიმო?

– ეს ფხვნილი თქვენთვისაა, ქალბატონო!

* * *

– **შეხვედრიხართ** ისეთ მამაკაცს, რომლის ერთი შეხებაზეც კი გაკანკალებთ?

– სწორედ გუშინ შევხვდი მას.

– კი მაგრამ ვინ არის იგი?

– კბილის ექიმი.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ◉ ლარის კურსი

**21 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2326 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7900 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1763 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0630 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3907 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3984 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5757 ლარი. |

## ◉ ამინდი დღეს

| 21 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 29° | 17° |
| ბათუმი | 26° | 17° |
| სოხუმი | 25° | 15° |
| ქუთაისი | 26° | 17° |
| თელავი | 27° | 16° |

## ◉ საეკლესიო კალენდარი

# შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა (დიდუბობა)



21 სექტემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის შობას დღესასწაულობს.

ძე ღმრთისამ იმისთვის, რომ ადამის მოდგმა ეხსნა, ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმინდა მარიამი გამოარჩია, რომელიც ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღმრთის დატევნა და სიწმინდის წყაროს განხორციელება შეეძლო.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი დაიბადა გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში. მისი მშობლები იყვნენ მართალი იოაკიმე და ანნა. ეს ღმრთის მოშიში მეუღლენი უშვილონი იყვნენ. ასე მიაღწიეს ხანდაზმულ ასაკს, მაგრამ ჰქონდათ ღმერთის იმედი, რომ ის მათ უშვილობის მძიმე ტვირთისგან გაათავისუფლებდა.

ერთხელ მოხუცმა იოაკიმემ იერუსალიმის ტაძარში ღმერთისთვის შესაწირად მსხვერპლი მიიტანა, მაგრამ უშვილობის გამო მას უღირსი უწოდეს. დამწუხრებულმა იოაკიმემ უდაბნოს მიაშურა და მარხვასა და ლოცვაში გაატარა 40 დღე. შინ მარტოდ დარჩენილი მართალი ანა ტიროდა უშვილობის გამო და გლოვობდა დაქვრივებას, მაგრამ სამდურავით კი არ მიმართავდა ღმერთს, არამედ წყალობას ითხოვდა თავისი ოჯახისათვის.

უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვედრება... მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა ანას, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. ანგელოზმა უდაბნოში მყოფ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა... გავიდა ხანი და ღმერთმა უბოძა წმინდა ოჯახს ასული – იესო ქრისტეს მომავალი დედა.

* * *

ახლა, ცოტა რამ, დიდუბის ტაძრის შესახებ. თავის დროზე დიდუბის ეკლესია სამეფო ტაძარი ყოფილა. საომრად მოხმობილი ლაშქარი სწორედ ტაძრის მახლობლად იყრიდა თავს და ხელმწიფისგან დალოცვილი და გამხნევებული აქედან მიემართებოდა მტერთან საბრძოლველად.

გადმოცემის თანახმად, ერთ კეთილმორწმუნე მწყემსს, რომელიც დიდუბის მინდორზე ფარას აძოვებდა, ძილში ანგელოზი გამოეცხადა და აჩვენა ის ადგილი, სადაც ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი იყო დასვენებული და უთხრა, – თუ ხატს თაყვანს სცემ, სასწაულს იხილავო. მწყემსმა გამოღვიძებისთანავე მინიშნებულ ადგილას მიიყვანა მეგობრები, რომელთა შორის უსინათლოც ერია. ხატის თაყვანისცემის დროს ბრმას თვალი ახელია; მორწმუნეებს ნიში აუგიათ და ხატი შიგ დაუბრძანებიათ...

დიდუბის ტაძრის მშენებლობა კი მეფე თამარის სახელს უკავშირდება... მოგვიანებით აქ ჯვარი დაიწერა დიდმა თამარმა.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე არსებული წმიდა თამარ მეფის ფრესკა თავად უწმინდესისა და უნეტარესის ილია ||-ის მიერაა შესრულებული 1982 წელს.

... სწორედ დღეს, 21 სექტემბერს დღესასწაულობს ღვთისმშობლის შობას დიდუბის ეკლესია.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

## ◉ რა არ ხდება!

# პეტრუშა

ერთხელ გაზაფხულზე, პატარა ვოვამ, შემთხვევით გზაზე ნახა ქარით მონიავებული ყვავის ბუდე, ორი ბარტყით.

ვოვამ სახლში მიიყვანა ერთ-ერთი ყვითელნისკარტა და რადგან თვითონ, დაუხმარებლად ვერ ჭამდა, მთელი ოჯახი უვლიდა.

როდესაც პეტრუშა (ასე შეარქვეს ბარტყს) ერთი წლის შესრულდა, „მადლობის ნიშნად“... ალაპარაკდა, თანაც ისე, რომ ოჯახის წევრები განაცვიფრა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იგი ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე წარმოთქვამდა ბავშვების სახელებს: გალია, ტანია, ვოვა... არც ძაღლი „ლომა“ ავიწყდებოდა და აყეფდებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, მეტად ნიჭიერ მეტყველ ფრინველად იქცა.

განსაკუთრებით უყვარდა თავისი შეპატიჟება: „პეტრუშა ჭამე, ჭამე!“

ორი წელი იცხოვრა ყვავმა ოჯახში, შემდეგ პატრონები იძულებული გახდნენ მოზრდილ გალიაში გადაესახლებინათ, რადგან თავისი ცუღლუტობით მეზობლებს აწუხებდა.

თუმცა მომვლელები მას არ ივიწყებენ, ქალაქში დაასეირნებენ და ართობენ ამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ჭკვიან ყვავს“.

# თავში ისარგარჭობილი კატა

შვიდი წლის მოთეთრო-მოწითალო კატას, ვიღაც ანცმა, „ვაჟკაც-ხუმარამ“, ქუჩაში სეირნობისას მშვილდისარი ესროლა. ისარმა გაიარა მარჯვენა თვალსა და ყურს შუა, მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყოჩაღმა ბაფიმ ეს ვანდალური მოქმედება აინუნშიც არ ჩააგდო და საოცარი გულგრილობით გააგრძელა გზა.

– საერთოდ, თუ საღად ვიმსჯელებთ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ყველა ცხოველი, უნდა დავარდნილიყო და გარდაცვლილიყო, მაგრამ ეს ბაფის არ ეხება. იგი გამოცხადდა სახლში თავში ისარგარჭობილი და ვითომც არაფერი მომხდარიყო... „სადილობას“ შეუდგა, – ყვება კატის პატრონი, აშშ-ს ოჰაიოს შტატში მცხოვრები დებორა კრუგმანი.

შეშინებულმა დიასახლისმა სასწრაფოდ დაურეკა ვეტერინარ ექიმს ლარი ფორტხოფერს და ყველაფერი უამბო. მრავალნახულმა მკურნალმა ნაამბობი ხუმრობად ჩათვალა.

– მე ბევრის მომსწრე ვარ, მაგრამ ეს ჩემს პრაქტიკაში დაუჯერებელი ფაქტია, – თქვა ექიმმა, – როდესაც დებორამ დამირეკა, ბუნებრივია დავასკვენი, რომ ცხოველის ცხოვრება დამთავრდა, მაგრამ როდესაც შევიტყვე, რომ ბაფი, მშვიდად მიირთმევდა სალაფავს თავისი თეფშიდან, ვთხოვე პატრონებს, სასწრაფოდ მოეყვანათ ჩემთან.

ვეტერინარმა ჯერ ანესთეზიის ნემსი გაუკეთა ავადმყოფს, ხოლო შემდეგ გამოაძრო ისარი თავიდან და ანტიბიოტიკი მისცა. ოპერაციის დროს და მის შემდეგაც პაციენტი საოცრად ყოჩაღად გამოიყურებოდა.



ამ მეტად სასიამოვნო ამბავმა დიდად გაახარა დებორას 9 წლის შვილი ტამი, რომელიც საშინლად განიცდიდა ბაფის ამბავს.

– ტამი ისეთი აღელვებული იყო, რომ ჭამის მადაც კი დაეკარგა, ბაფისგან განსხვავებით, რომელიც არასოდეს ამბობს უარს საჭმელზე, – თქვა დებორამ.

**მოამზადა**
**გურამ**
**გომართელმა**

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ექიმ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს მაია დოხტურიშვილს გარდაეცვალა ძმა

გია დოხტურიშვილი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ქ. თბილისის წმინდა იოაკიმე და წმინდა ანას სახელობის სამშობიარო სახლის დირექტორი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

გია ხავახიშვილი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ალეკო ასლანიშვილი.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.